

ეროვნული ბიბლიოთეკა

61/9
1959

# დროშა

№ 11 ნოემბერი 1959

# დროშა

№ 11 ნოემბერი, 1959 წ.

100

გამოდის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



პოლონეთის კულტურის დღეები საქართველოში 1-2

140.000 ტონა 3

გ. ნატროშვილი „მარად ცოცხალი სულხან-საბა“ 4

სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 300 წელი 6-9

რუსთაველის უცნობი ლექსი 10

ხალხის კეთილდღეობის აღმავლობისათვის 12

თამასა მიიწევს მაღლა 14

ხალხის საყვარელი პოეტი 15

მიხეილ მრევლიშვილი „გულშემატკივარნი და იმათი ამბავი“ 16-17

ანასეული ჩაის მსოფლიო ცენტრია 16-18

ОГОНЁК

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოგონიოკის“ რედაქციისგან

ჟურნალ „ოგონიოკის“ კოლექტივი მხურვალედ მიესალმება სახელოვანი ქართული ჟურნალის „დროშის“ რედაქციას და მკითხველებს მისი მეასე ნომრის გამოსვლის გამო და უსურვებს შემოქმედებითს წარმატებას მის თანამშრომლებს, ნიჭიერ ავტორებს და მთელს კოლექტივს. მაგრად გეხვევით და გკოცნით, ძვირფასო ძმებო.

მთავარი რედაქტორი ანატოლი სოფრონოვი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ლ. კუდრევატიხი.

პასუხისმგებელი მდივანი ბ. ივანოვი.

ПОЛЬША

[illegible] ჟურნალ „დროშის“ რედაქტორ [illegible]

ვულოცავ „დროშის“ კოლექტივს ჟურნალის მეასე ნომრის გამოსვლას. გისურვებთ ახალ-ახალ ნაყოფიერ წარმატებებს ქართული კულტურის განვითარების საქმეში, რომლის მაღალი ნიმუშებიც ახლახან გამოამჟღავნეს პოლონეთში ქართველ მსახიობთა გამოსვლებმა.

ვინც ერთხელ მაინც ინახულა თქვენი მშვენიერი რესპუბლიკა, მის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდება მისი ბუნების საუცხოო და მომხიბვლელი სილამაზე, მისი ადამიანების სტუმართმოყვარეობა.

დაე, პოლონეთ — საქართველოს კულტურული ურთიერთობის დღეებმა, რომლებიც დაემთხვა ჟურნალ „დროშის“ მე-100 ნომრის გამოსვლას, კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი ჩვენი ხალხების მეგობრობის ტრადიციებზე.

მეგობრული სალამით

ჟურნალ „პოლშის“ მთავარი რედაქტორი

სტეფანე სვეჟევსკი.

ძვირფასო მეგობრებო!

მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ჟურნალის მე-100 ნომრის გამოსვლის გამო შესაძლებლობა მაქვს მეგობრული სალამი გადმოგცეთ „სვეტ სოციალიზმუს“ რედაქციის მუშაკთა სახელით, ოთხმოცი ათასი მკითხველისა და ჩემი სახელითაც. ჩეხები და სლოვაკები მეგობრული და ძმური გრძნობებით არიან განწყობილნი ქართველი ხალხისადმი, როგორც საბჭოთა კავშირის დიდი ოჯახის წევრისადმი.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ჟურნალი უფრო ახლოს გააცნობს ჩვენს ხალხს მშვენიერ და მზიურ საქართველოს, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად მიემართება კომუნიზმისაკენ.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ჟურნალ „სვეტ სოციალიზმუს“ მთავარი რედაქტორი

ანდრეი კუტრა

SVET socializmu

# Dni Polskiej Kultury w Gruzji

ეროვნული ბიბლიოთეკა








საქართველოში ჩატარდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კვირეული. საინტერესო, სამახსოვრო შეხვედრებით იყო აღსავსე ეს შვიდი დღე. სტუმრებმა გაგვაცნეს თავიანთი ეროვნული ხელოვნება, გამართეს კონცერტები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში; პოლონეთის კულტურის მოღვაწენი შეხვდნენ ქართველ კოლეგებს და მათთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს. ერთდროულად სტუმრები ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის მიღწევებს.

ყველგან, სადაც კი პოლონეთის სტუმრები გამოჩნდებოდნენ, მოისმოდა შეძახილები:

„გაუმარჯოს პოლონეთისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მეგობრობას! დაე, უფრო განმტკიცდეს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ძმობა მთელს მსოფლიოში!“



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

იან პარანდოვსკი

# კრაშევსკი

ნახ. ა. ბანძელაძისა

გერმანული ენის გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელმა დამავალა ამეკრიფა რვეულები და მასთან სახლში წამეღო. მე პირველად მეწია ეს ბედნიერება, საშუალება მეძლეოდა ამ უდროო დროს, სადილად წასვლის ნაცვლად, ქალაქი დამეთვალიერებინა.

ზურგზე ჩანთით და იღლიაში ამოჩრილი რვეულებით დავეშვი ქვემოთ, ტექნიკურისა და კრაშევსკის ქუჩის დაღმართზე.

მისამართმა მიმიყვანა ზიმოროვიჩის ქუჩაზე მდებარე სტამბაში. სტამბა არასდროს არ მენახა. ბევრი რამ ვერც ახლა ვნახე, მხოლოდ სადღაც, სიღრმეში, ისმოდა მანქანების ხმაური. ჭორფლიანმა მოზარდმა ოთახში შემაგდო. მე პირდაპირ შევასკდი თეთრწვერა მოხუცს, რომელიც უცებ წამოხტა თავისი საწერი მაგიდიდან და შემჰყვირა:

— შენ აქ რა გინდა?

მას რვეულების მთელი დასტა გავუწოდე.

— რვეულები... — წავილუღლუღე შეშინებულმა.

— ეგ რა რვეულებია?

— გერმანული ენის...

— რა თავში ვიხლი მაგ შენს გერმანული ენის რვეულებს?!

აღარ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა, თავი დაბლა დავხარე და ისევ რვეულებს დავუწყე საწყლად მზერა.

უცხო ხმამ მიხსნა:

— ეს, ალბათ, ჩვენი მასწავლებლისათვის მოიტანა.

— ჰოო! — წაიბურდღუნა მოხუცმა. — წაიღე და მაგიდაზე დადევი.

მეც ასე მოვიქეცი. შემდეგ ფეხის ფრატუნით უმალ გასასვლელ კართან გავჩნდი. მოხუცმა მომაძახა.

— მოიცა.

და თან მოფერებით დაუმატა:

— დაჯექი, დაისვენე, რამ შეგაშინა?

მეც მორჩილად ჩამოვჯექ სკამზე საწერი მაგიდის გვერდით, და ვცდილობდი ვაჟკაცურად ამეტანა მოხუცის ცისფერი თვალების მახვილი მზერა.

— რამ დაგასუსტა, ბიჭიკო? არაფერს ჭამ განა? არ სვამ? ბევრს მეცადინეობ? რას გაჩუმებულხარ? ხმა ამოიღე, ხომ არ შეგჭამ?

შეჭმისა არ მეშინოდა, მაგრამ ეს სიცოცხლით სავსე ადამიანი მაშფოთებდა, პასუხისათვის სიტყვის მობრუნებას ვერ ვასწრებდი, რომ ახალ-ახალ კითხვებს მაყრიდა.

— შტერია ვიღაც, — წაიბურდღუნა მან და მხრები აიჩეჩა.

როგორც კი მოხუცმა თავი დამანება, ფრთხილად და მორიდებით დავიწყე ირგვლივ მზერა, კედლებზე მრავლად ეკიდა პორტრეტები, განსაკუთრებით მამაკაცებისა. მათ შორის საწერი მაგიდის პირდაპირ ეკიდა ერთი საუცხოო, ძვირფას მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი.

— თუ იცი, ეს ვინ არის? — დაიღრიალა მესტამბემ.

აბა, საიდან უნდა მცოდნოდა? იგი მამალმერთივით გამოიყურებოდა, თუმცა სერთუკი ეცვა და ხელში წიგნი ეჭირა.

— არ იცი..., არ იცი. — დამცინოდა მოხუცი. შემდეგ ხელი მომკიდა, ფიცხლავ მომატრიალა კედლისკენ და დაიქუხა.

— შეხედე და კარგად დაიხსომე ეს საპატიო სახე. შენ წინ არის დიდი პოლონელი მწერალი.

საბედნიეროდ, ჩარჩოზე, ქვემოთ, მოსჩანდა თითბრის ფირფიტა წარწერით.

— კრაშევსკი, — ძლივს ამოვილუღლუღე მე.

— აი, ხედავ, — მოლბა მოხუცი, — ხომ იცანი, შენგან კიდევ დადგება კაცი.

ხელი ხელს ჩაჰქდობილი დაეყრდნო მაგიდის კუთხეს, თვალები მიაპყრო პორტრეტს და სრულიად სხვა ხმით, წყნარად და ალერსიანად დაიწყო:

— ახალგაზრდა ასოთამწყობი ვიყავი, თვალთ კარგად მიჭრიდა. ყველაზე ძნელ ხელნაწერს ყოველთვის მე მაძლევდნენ ასაწყობად. ერთხელ კრაშევსკის მოთხრობა შემხვდა. ეს იყო გასარჩევად უძნელესი ხელნაწერი — ის ხომ ასე წერდა, ხელგაკრულად, გადაბმულად. ძლივს ვახერხებდი მის გარჩევას — ყოველთვის ეჩქარებოდა! მე თუ ჩამივარდებოდა მისი ხელნაწერი, კითხვას საღამოდან დავიწყებდი, რომ დილით სწრაფად ამეწყო. აი, ერთ საღამოს, ვზივარ და სანთლის შუქზე ვკითხულობ. ძილი მომერია, ყურები მაგრად მოვისრისე, რომ არ ჩამძინებოდა, მაგრამ, ჩანს, არ მიშველა — მაინც ჩამეძინა. გამეღვიძა მაშინ, როდესაც ცეცხლმა თითები მომწვა. ხელნაწერი სანთლის ალს მიეტაცნა. ოცი ფურცელი დაიწვა — ფერფლიდა დარჩა. „ღმერთო, რაღა ვქნა? სტამბიდან გამაგდებენ, უკანასკნელ ხელფასს დამიკავებენ, შეიძლება ციხეშიც ჩამსვან-მეთქი“, ვფიქრობდი, დარდით მთელი ღამე თეთრად გავათენე. ადგილს ვერ ვპოულობდი ოთახში, კუთხიდან კუთხეს ვეხლებოდი, როგორც კი ინათა, კრაშევსკისთან გავიქეცი. ადრე ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა — ერთხელ სტამბიდან გამგზავნეს მასთან. რომ დამინახა გაუკვირდა, მეკითხება რაშია საქმეო. ყველაფერი ვუამბე, რაც შემემთხვა — მუხლებზე დავეცი. მან წამომაყენა, დამსვა სკამზე და ჩაი შემომთავაზა. მერე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: „რამ გაგაფითრა, ბალღო! ალბათ, მთელ ღამეს არ გეძინა. ამაზე ნუ იდარდებ, გულთან ახლოს ნუ მიიტან. მე ვიტყვი სტამბაში, ხელნაწერი სახლში წავიღე გასასწორებლად-მეთქი. შენ კი ხვალ მოდი. აჰა, ეს გულდენი, წადი და კარგად ისადილე, უძილო ღამის შემდეგ ძალ-ღონე მოიკრიბე“. მეორე დღეს ის მიცდიდა კონვერტით, რომელშიც ეწყო ახლადდაწერილი ფურცლები. სიცილით შემეგება და მეუბნება: „იცი, ჩემო კარგო, დიდი მადლობის ღირსი ხარ, ახლა უფრო უკეთესი გამოვიდა“. აი ასეთი იყო ის ადამიანი, გესმის? დაიხსომე, კარგად დაიხსომე.

მივხვდი, რომ საუბარი დამთავრდა, წამოვდექ და ფეხაკრეფით გამოველ.

ვბრუნდებოდი იმავე გზით. როდესაც კრაშევსკის ქუჩაზე გამოვედი, ისეთი გრძნობა აღმეძრა, თითქოს პირველად ავდიოდი ამ პატარა აღმართზე. ეს არაჩვეულებრივი ქუჩა ცალმხრივი იყო. იმ მხარეს, სადაც წყვილი ნომრები უნდა გასდევნოდა, მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა იეზუიტების ბაღი. მეც იმ მხარეს მივდიოდი, ვიწრო ტროტუარით, რომელზედაც ფილაქნებიც არ ეფინა და მრავლად ეყარა დაცვენილი ფოთლები. მივდიოდი ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ კრაშევსკი სწორედ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა და მიტომაც შეარქვეს მისი სახელი. დიდი ყურადღებით ვათვალიერებდი თვითეულ სახლს, ალაყაფის კარებსა და ფანჯრებს.

ყველა კარ-ფანჯარა მაგრად გამოეკეტათ, მხოლოდ მზის სხივებით იყო გაკაშკაშებული. ქუჩის უკანასკნელი სახლის მეორე სართულზე გაიღო ერთი ფანჯარა და თოჯინით ხელში გამოჩნდა პატარა გოგონა. „შესაძლებელია ეს არის ნიშანი“, — გავიფიქრე მე და, თავი უფრო მაღლა ავწიე. მაგრამ გოგონამ რომ შემატყო, დაჟინებით მათვალიერებსო, ენა გამომიყო.

ათვალწუნებით ავიჩეჩე მხრები. ამ წუთს თავს ვგრძნობდი არამც თუ ყველა თავხედ გოგონას მანჭვაზე მაღლა, არამედ საკუთარ ასაკზედაც უფრო მაღლა. თან მიმქონდა მოხუცის ნაამბობი, როგორც უნაზესი ძვირფასი რამ საგანი. ვშიშობდი, გზაში არ დამმსხვრეოდა იგი. მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შევძელ ბებიას კალთამდე მისი უვნებლად მიტანა.

მეტყობოდა, ამბავს მეტისმეტად არეულად ვყვებოდი, დედა ხშირად მაწყვეტინებდა თხრობას და წარამარა გამახსენებდა გაცივებული კერძის შესახებ. მაგრამ ბებია სულ სხვა იყო, იგი მიმიხვდებოდა ხოლმე გულის ნადებს. და ფიქრებში წასული, ბურნუთით ხელში ყველაფერზე თავს მიკანტურებდა.

— ჰო, ჰო, ბევრი რამ მსმენია კრაშევსკის შესახებ, კარგი ადამიანი იყო.

მრავალმა წელმა გაიარა, ვიდრე შევავსე ეს ამბავი საკუთარი დასკვნებით. რა იშვიათად მოიპოვებიან ჩვენს შორის შემკულნი ისეთი ღირსებებით, როგორიც არის უბრალოება და თავმდაბლობა. ყოველთვის, როდესაც კი შემიპყრობს ნაღველი დაკარგული ფურცლების ან ხელნაწერის გამო, მაშინვე ავწუწუნდები, რომ შრომამ მუქთად ჩაიარა, მაგრამ ყურში ჩამესმის კრაშევსკის თბილი ხმა, მოხუცი მესტამბის წყალობით ჩემს მეხსიერებაში აჟღერებული. და — ოო, საკვირველებავ! — აქვე გამოჩნდება ფანჯარაში თოჯინით ხელში პატარა გოგონა და ენას მიყოფს.

თარგმნა მიხეილ ყვარელაშვილმა





# 140.000 ტ.

„... გამარჯვება, რომელიც საქართველოს მეჩაიეებმა მოიპოვეს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია...

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მთელ ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლიონ სამშობლოს მაღალხარისხოვანი ჩაი“.

(ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სტატიიდან. „პრავდა“ 9 ოქტომბერი)

## საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 7 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულება. სახელმწიფოს სულ ჩაბარდა 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 88 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1958 წელს.

ეს შესანიშნავი წარმატებანი მიღწეულია იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები თავდადებით შრომობენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს და ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მის მიყიდვაში მოპოვებულ წარმატებებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომლები მიაღწევენ ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის მინისტრთა ს ა ბ ჭ ო**

სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავეები სულიკო, დარიკო და ნუნუ ღლონტი.





ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია.





პოლონეთში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული კულტურის კვირეული. ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა მონაწილეობა მიიღეს საოპერო სპექტაკლებში, გამართეს ცალკე კონცერტები, ქართულმა ცეკვის ანსამბლმა კიდევ ერთხელ მოხიბლა ვარშავა.

პოლონელებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს „ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნიჭიერი ქართველი მხატვრები.

პოლონეთის ქალაქებში მოგზაურობისას მხატვარმა ზურაბ ლეჟავამ გააკეთა ჩანახატები. ვბეჭდავთ ორ მათგანს, ზემოთ — კრაკოვი, ბარბაკანი; ქვემოთ — ვარშავა.

# მარად ცოცხალი სულხან-საბა



**300 წელი**

სულხან-საბა ორბელიანი, XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ბრძენი ქართველი, სიტყვის უბადლო ოსტატი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე მუდამ მოიხსენება იმ დიდებულ სახელთა შორის, რომლებიც ამშვენებენ ჩვენი კულტურის ისტორიას. მისი ნოველები აღბეჭდილნი არიან იმ ნიშნებით, რომლებიც განაპირობებენ საერთოდ მხატვრული ქმნილების უკვდავებას. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა" მწერალმა ისე ღრმად, ისე მკაფიოდ გამოხატა ადამიანთა ხასიათების თავისებურებანი, რომ ეს პერსონაჟები დარჩნენ როგორც ცოცხალი ძეგლები არა მარტო თავისი დროისა, არამედ როგორც მანიშნებელნი იმ ზოგად ადამიანურისა, რომლის მიწვდომა ხელოვნებაში მარტოოდენ რჩეულთა ხვედრია; ამ მარად უკვდავი ადამიანური თვისებებით არიან აღბეჭდილნი საბას ნოველების პერსონაჟები — მისი მეზვრე და მემარნე, ფეიქარი და მკერვალი, ქვისმთლელი და მჭედელი, მწყემსი და მეთევზე.

სულხან-საბა მუდმივ ცოცხლობს და მოქმედებს არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში, არამედ ცხოვრებაშიც. ასე იყო ეს მეცხრამეტე საუკუნეშიც. გაიხსენეთ დიდი ილია ჭავჭავაძე; სულხან-საბა მისი დახასიათებით იყო ბრძენი და სათნოებით სავსე კაცი, ხოლო „სიბრძნე სიცრუისა" „მადლიანი წიგნი", „აზრის ამხსნელი, მაუწყებელი, გაგების გზა და ხიდი, ცოცხალი ხატი, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით". და აი ეს მადლიანი წიგნი, მთელი სიბრძნე საბასი გზას უშუქებდა ილიას, თვითონ გზის გამშუქებელსა და გამკაფავს, ერის ბელადსა და წინამძღოლს. საბა ცოცხალივით ედგა ილიას გვერდში, მასთან ერთად იცავდა საქართველოს, მის ენას, მის კულტურას, მის ისტორიას. საბას იგავი, ბრძნული გამონათქვამი თუ ლექსი „ქილილა და დამანადან", ილიასათვის, მტრებთან ბრძოლაში, გაფთრებული პოლემიკის დროს, ამოღებული ხმალიც იყო და მარჯვედ ნახმარი ფარიც. მაგრამ მარტო ამ ბრძოლების დროს კი არ მიმართავდა ხოლმე ილია სულხან-საბას, არამედ მაშინაც, როცა საქვეყნოდ დათესილი მადლის საზღაურს მიუწყავდა ერთგულ მამულიშვილებს; „ფები მთებრ ედგა ქვეყანად, ტინურად განმტკიცებულიო", გაიხსენა ილიამ „ქილილა და დამანადან", როცა დიმიტრი ყიფიანის ცხედარს დასტიროდა; ეს ღრმა, შვილური სიყვარული ბრძენი საბასადმი ნათელ ზოლად გასდევს ილიას მთელ ცხოვრებას. დაწყებული სიჭაბუკის წლებში დაწერილი ლექსიდან, „ალაზნიდან", რომელსაც ეპიგრაფად სულხან-საბას სიტყვები აქვს წამძღვარებული, და დამთავრებული იმ დღეებით, როცა პოეტი გულგანგმირული დაეცა წიწამურის ტყეში.

ალტაცებით ეთაყვანებოდა სულხან-საბას სახელს აკაკი წერეთელი — მეორე დედაბოძი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი; 1898 წელს თავის პერიოდულ „კრებულში" გამოქვეყნებულ შენიშვნაში აკაკიმ ხაზგასმით აღნიშნა სულხან-საბას იგავების საკაცობრიო მნიშვნელობა, ეს წიგნი ქართული სიბრძნის უშრეტ საუნჯედ აღიარა. უფრო მეტიც, თავის მოთხრობაში „სიკვდილი", აკაკიმ საბა მოიხსენია ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, იოანე პეტრიწის გვერდით, როგორც მათთვის მხრის დამშვენებელი, შემწე და მფარველი სამშობლოსი. საბა ხომ მარტო მწერალი და ფილოსოფოსი არ იყო, ის იყო, იმავე დროს, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დაუღალავი მზრუნველი ქვეყნის გაერთიანებისათვის, აღდგენისა და აღორძინებისათვის. ის მარტო „სიბრძნე სიცრუის" იგავით კი არ ქადაგებდა, რომ ძალა ერთობაშიაო — გახსოვთ, მეფემ „ოცდაათი ისარი რომ მრალებინა", „შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა". მერე „თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა", მიუბრუნდა თავის შვილებს და უთხრა—თუ ერთად იქნებით, „მტერი ეგრე ვერ გაგტეხთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხეო". დიახ, საბა ამას მარტო იგავით კი არ ქადაგებდა, არამედ საქმითაც, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იბრძოდა მთლიანი საქართველოს აღსადგენად, ფეოდალური პარტიკულარიზმის დასათრგუნავად, სამეფო აბსოლუტიზმის განსამტკიცებლად, რომელიც მაშინ ერთადერთი გზა იყო ქვეყნის სახსნელად. რა განსაცდელი არ გადაიტანა საბამ ამ ბრძოლაში, რა ჭირ-სახდელი არ გამოსცადა, რა შორეულ გზებზე არ იარა! ვინ მოსთვლის მის ღვაწლს, მის ამაგს, მის გაუთავებელ ზრუნვას!

აი ყოველივე ამან მისცა საბუთი და საფუძველი აკაკის დაეყენებინა სულხან-საბა ყველაზე დიდ ქართველთა გვერდით; მწერალმა ეს აზრი მოთხრობაში თავისებური მხატვრული ფორმით გამოხატა.

ასე შეაფასეს სულხან-საბა მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზრის მესვეურებმა; ჩვენს თანამედროვეობას მათ ანდერძად გადმოსცეს ეს სიყვარული საბასადმი და, მართლაც, საოცრად ცოცხლად არის შესული სულხან-საბას მემკვიდრეობა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. რაღა შორს წავიდეთ — ისე არ გაივლის დღე ჩვენს რედაქციებში, გამომცემლობებში, მწერალთა პლენუმებზე თუ ყრილობებზე, რომ სულხან-საბას დიდი სახელი არ ახსენონ და მისი „სიტყვის კონა" არ გადაფურცლონ. აქ ყველა დავა რომელიმე სიტყვაზე, ენის რთულ საკითხზე საბას წიგნმა უნდა გადასჭრას. „საბას ასე აქვს", — იტყვიან და კამათიც დამთავრებულია, მაშასადამე, სადავო სიტყვა უკვე კანონიერია, უკვე ქართულია, საბას ავტორიტეტს წინ ვერავინ აღუდგება. „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიათ", წერდა სულხან-საბაზე ფრანგი მისიონერი რიშარი 1713 წელს; და ახლაც იგი მამად მიაჩნია ყველა ქართველ მწერალს, საერთოდ ყველას, ვისაც უყვარს ქართული სიტყვა, ვისაც უყვარს საქართველოს მიწა და ცა. ეს სიყვარული შთამომავლობისა დიდი წინაპრისადმი განსაკუთრებით ნათლად გამოხატა კ. გამსახურდიამ თავის წერილებსა და გამოსვლებში, ს. ჩიქოვანმა, გრ. აბაშიძემ და მ. მაჭავარიანმა იმ ლექსებში, რომლებიც მათ სულხან-საბას მიუძღვნეს.

წელს, გაზაფხულზე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში რერიხის სურათების გამოფენა იყო მოწყობილი. ამ სურათებიდან ყველაზე მეტად ერთი ფართო ტილო მომეწონა, მას „ბერი მკურნალი" ეწოდებოდა. მხატვარს გამოესახა ვეება, ზურმუხტისფრად აღაღანებული მინდორი, ათასფერად აჭრელებული ულამაზესი ყვავილებით; რაღაც საოცრად ნაზი, მყუდრო და იდუმალი იყო ეს საგაზაფხულო მდელო; ამ მინდორზე ჩანდა მარტო ერთი ფიგურა — ეს იყო მოხუცი, რაღაც ნატარი და შუქმოსილი სახით, ის მიმოდიოდა ამ მწვანე ზღვაში და კრეფდა სამკურნალო ბალახებს. ის ყვავილებიც ისე თვალმიმტაცად იცქირებოდნენ ტილოდან, ისე გამომწვევად ჩანდნენ მდელოზე, თითქოს იმ მოხუცს, როგორც მინდიას, ყელგადაგდებით მისძახიანო: „მე ვარო ამის წამალი, სხვა გაიძახის „იმისა", მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნაში აქვს დილისა". რერიხის ეს სურათი რომ ვნახე, მაშინვე გიორგი ლეონიძის სტრიქონები გამახსენდა, სულხან-საბას რომ მიმართავს: „შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკრეფია სიტყვა ქართული".

თუ გავიხსენებთ სულხან-საბას დროინდელ საქართველოს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რაოდენ ღრმა, განმაზოგადებელი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს პოეტის ამ მხატვრულ შედარებას—„სიტყვა ქართულის" შეთანაბრებას „სამკურნალო ბალახთან". საბას დიდებული წიგნი მართლაც ნამდვილი მალამო იყო დაფლეთილი და ათასგზის ნაჭრილობევი, შინაური და გარეშე მტრების მიერ აკლებული ქვეყნისათვის, ეს გაერთიანების დროშა იყო, მაღლა აწეული მოხუცის მოუღლელი მკლავით. რადგან ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულია ერისა; ბრძენმა საბამ ეს ყველაზე კარგად იცოდა. 1942 წელს ფრანსუა მორიაკი წერდა, რომ ტრაგიკულ პარიზში, იმ დღეებში, როცა გერმანელებმა დაფლითეს საფრანგეთი, როცა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს რომენ როლანი, დახვრიტეს მრავალი ათასი ყველაზე საუკეთესო ფრანგი და მთელ ქვეყანაში სისხლის გუბეები დააყენეს, აი სწორედ ამ დღეებში დედაქალაქში დარჩენილი აკადემიკოსები თურმე ყოველ ხუთშაბათობით იკრიბებოდნენ და აწყობდნენ სხდომებს ფრანგული ენის ლექსიკონის განსახილველად; „თვითეულ სიტყვაზე მთელი საათობით მსჯელობენ და არავის აზრად არ მოსდის დასცინოს მათ, — ამბობს მორიაკი, რადგან ისინი ამას სჩადიან იმისათვის, რომ „მთელ ქვეყანას დაანახვონ — საფრანგეთი განაგრძობს არსებობასო, რომ გული განაგრძობს ძგერასო. ხანგრძლივი ავადმყოფობა გულის გამოცდაა; მთავარი ის არის, გადაიტანს თუ არა გული! — ამბობენ ხოლმე ექიმები. საფრანგეთის გულმა გადაიტანა და გადაიტანს. ჩვენ დავარიგეთ ჩვენი დიდი ლიტერატურული პრემიები, როგორც ამას ვშვრებოდით ყოველწლიურად. პარიზში არაფერი არ შეწყვეტილა. პარიზი არა მარტო ჰქმნის სიცოცხლის ილუზიას, არამედ ცოცხლობს, იგი განაგრძობს არსებობას. განვაგრძოთ — ეს არის დღეს ყველაფერი".

ამ დღეში იყო საბას დროის საქართველოც. და როგორც ფრანგი ლექსიკოგრაფები არ უშინდებოდნენ არც შემოსეულ უცხოელებს და არც საზიზღარ კოლაბორაციონისტებს — „მოთანამშრომლეებს", ისე ქართველი ლექსიკოგრაფიც წარბს არ უხრიდა არც ყიზილბაშთა ურდოებს და არც მათი ყაენის როჭიკზე დახარბებულ შინაურ გამყიდველებს, განდგომილ ფეოდალებს, რომელნიც ვახუშტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ და ჰქონდათ როჭი (ჯამაგირი) ყაენისაგან". ეს იმ დროის ქართველი კოლაბორაციონისტები მართლაც ყლებდნენ ქვეყანას; ჯერ იყო და სიცოცხლე გაუმწარეს ვახტანგ მეხუთეს, რომელიც საბას ნათესავი იყო (საბას მამიდა ჰყავდა ცოლად), იქამდე მიიყვანეს, რომ შაჰმა პასუხისსაგებლად გაიწვია ისპაჰანში; კარგი დღე არც მის მემკვიდრეს გიორგი XI-ეს დაადგა. სწორედ მისი მეფობის დროს ყლებდა ქვეყანას გამაჰმადიანებული ერეკლე ბატონიშვილი, ნაზარალიხანად წოდებული; ეს მან მიუსია საქართველოს მეციხოვნე ყიზილბაშები, რომლებიც „ჰკვლიდნენ და წარუსხმიდნენ კაცთა ცოლ-შვილთა, სხვათა ჰყიდდნენ და სხვათთა მოჰმედიან ჰყოფდნენ". თვითონ ერეკლე ბატონიშვილი „მრავალგზის წარუვლინებდა ყაენსა ტყვეთა". მის წახედულობით მოქმედებდნენ განდგომილი ქართველი ფეოდალებიც; როცა გიორგის ისპაჰანში გაწვევის შემდეგ, 1703 წელს ვახტანგ მეექვსე ქართლის ჯანიშინად გაამწესეს — მან პირველ რიგში ტყვეებით ვაჭრობა აკრძალა. მაგრამ უაღრესად ტრაგიკული იყო ვახტანგის ბედიც — ბოლოს და ბოლოს ვეღარც ის გაუმკლავდა მოზღვავებულ ყიზილბაშისა და ოსმალოს ჯარებს.

და აი ასეთ დროს, ასეთ ჯოჯოხეთში ადგენდა სულხან-საბა თავის ლექსიკონს, წერდა თავის გენიალურ წიგნებს. თავისი „სიბრძნე სიცრუის" დასაწყისში საბას აღწერილი ჰყავს ბრძენი ვაზირი, რომელიც „სიბრძნითა თვისითა ცად აღწევნილი იყო, ჰაერით ხმელეთის სიბრძნე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცარზე გარდმოეწერა ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოიქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცურებ აბნებდის". ასეთი „ბრძენი ვაზირი" იყო ვახტანგისათვის სულხან-საბა ორბელიანი, ეს იყო მარჯვენა ხელი მეფისა, მისი აღმზრდელი, ინტელექტუალური და მორალური მებაირახტრე მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსი. ამ პატარა წერილში ძნელია ჩამოთვალო ყველა კეთილი წამოწყება სულხან-საბასი. და ეს ითქმის არა მარტო კულტურის, არამედ პოლიტიკის სფეროზეც, აქ თუნდაც მარტო თარიღები გავიხსენოთ: 1710 წლის 1 დეკემბერს სულხან-საბა დიპლომატიური დავალებით მიემგზავრება სპარსეთში, საიდანაც იგი ბრუნდება 1711 წლის 20 თებერვალს. 1712 წლის 23 აპრილს ის მიჰყვება ირანში ვახტანგ მეექვსეს, ბრუნდება იმავე წლის ბოლოს. 1713 წლის 17 აგვისტოს, მეფე ვახტანგ მეექვსის დავალებით, საბა მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში — საფრანგეთსა და იტალიაში. სამშობლოში იგი ბრუნდება 1716 წლის ზაფხულში. ამ მოგზაურობის შემდეგ დასწერა მან თავისი შესანიშნავი წიგნი „მოგზაურობა ევროპაში", ევროპაში წაღებული ჰქონდა თავისი ლექსიკონიც, მასზე კვლავ განაგრძობდა მუშაობას, და როცა უკან დაბრუნების დროს ოსმალო მძარცველებმა „ხანდუკები დაუმტვრიეს", ლექსიკონი და უბის წიგნი ძლივს გადაარჩინა.

პირდაპირ გულისდამწველია ეს ბოლო ფურცლები „ევროპაში მოგზაურობისა", სადაც აღწერილია, თუ როგორ აწვალებენ ოსმალო ყაჩაღები მოხუც საბას. ჯერ ცხენები წაართვეს და ქვეითად აღმართს შეუყენეს. „სულს იქით გზა აღარა მქონდა, ბერიკაცი ვიყავ, სნეული და მაცხელებდაო", — ამბობს საბა. მერე ფული წაართვეს და მოკვლაც დაუპირეს. სწორედ ბედზე მოუსწრო სტამბოლელმა ნევოციანტმა აივაზ ჩელებმა, ოთხასი მარჩილის მიცემას შეჰპირდა ყაჩაღებს, ოღონდ მოხუცებულს თავი დაანებეთო. აივაზ გაბრუნდა ფულის მოსატანად, მაგრამ შეაგვიანდა. გაბრაზებულმა მძარცველებმა უმწეო ტყვეს ხელები შეუკრეს და ბნელი ღამით გონიოს ციხისაკენ წაიყვანეს.

„წვიმა და ნისლი იყო. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჭირით ჩავიარეთ, ენით არ ითქმის". იმ საშინელ ავდარში საბას ენგიჩარმა საწვიმარიც წაართვა, ამასობაში აივაზ ჩელებიც დაბრუნდა და საბა გამოიხსნა.

ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული საბა კვლავ საშინელ დღეში ჩავარდა. კლერიკალებმა სასტიკი დევნა დაუწყეს, მოხუცმა ის მოვალეებიც კი ვეღარ გაისტუმრა, რომლებმაც მოგზაურობის დროს მის გამოსახსნელად ფული დახარჯეს. „სამღვდელონი... გამიმტერდნენ, ასე შეკრეს ყოველნი ჩემი ნათესავი და მოყვარე, მეფე და დარბაისელი, ვერავინ შემომეწიაო". მერე ერთი დავრდომილი ნათლიდედა მიეშველა, ნაცნობებში ფული მოაგროვა და უცხოელი მოვალეები ისე გაისტუმრეს.

ვახტანგ მეფემ მალე შესძლო საბასთვის მფარველობა აღმოეჩინა. მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. 1723 წელს თბილისი და მთელი ქართლი აიღეს და დაარბიეს ოსმალთა ჯარებმა. მომდევნო წლის გაზაფხულის დასაწყისში სულხან-საბაც და ვახტანგიც იძულებულნი გახდნენ გასცლოდნენ სამშობლოს. მათ გეზი მოსკოვისაკენ აიღეს, რადგანაც კარგად იცოდნენ — ხსნა საქართველოსათვის მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოსულიყო.

ათასგვარი განსაცდელით, მსოფლიოს გზებზე გაუთავებელი სიარულით, მძიმე დარდით და წუხილით მოქანცული სულხან-საბა გარდაიცვალა მოსკოვში, ვსესვიატსკოეში, 1725 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით).

სულხან-საბა ორბელიანმა უზარმაზარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ქართულ პროზას თავისი წიგნით „სიბრძნე სიცრუისა" გაუხსნა გზა რეალიზმისაკენ, ოსტატობის მაღალი მწვერვალებისაკენ. ეს ხომ ჩვეულებრივი აღმოსავლური იგავები არ იყო, ეს ბრწყინვალე ნოველებია, სადაც ხშირად ერთი კალმის მოსმით, ერთი შტრიხით დახატულია ხასიათი, ნაჩვენებია ყოფა, სული ადამიანისა. ეს სამაგიდო წიგნია ყოველი პროზაიკოსისათვის, რომელსაც სურს ჩასწვდეს ცხოვრების მთელ სიღრმეს.

საბჭოთა საქართველო დიდი ზეიმით აღნიშნავს ბრძენი სულხან-საბას დაბადების 300 წლისთავს. ეს არის დღესასწაული ჩვენი სოციალისტური კულტურისა, თავისუფალი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისა.

**გიორგი ნატროშვილი**



# სკოლის მევენახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ხახუტაშვილი

კორას მთაზე ნისლი ჩამოწვა, ამინდი შეიცვალა. ქარი სისინით დაეჯახა სარკმელს, ხმაურით შევარდა საკლასო ოთახში.

— ზაურ! ფანჯარა დახურე, — მიმართა მასწავლებელმა ფანჯარასთან მჯდომ შავგვრემან ბიჭუნას და გაკვეთილის ახსნა განაგრძო.

ზაურმა ფანჯარა დახურა და მაშავერას ნაპირზე გაშენებულ თვალუწვდენ ზვარს მოწყენილად გახედა. არ ესიამოვნა — კორას მთას ნაბადივით წამოეხურა თალხი ღრუბლები. იქ უკვე წვიმდა.

— ის არის, ის არის! — ნაღვლიანად და თითქმის ცრემლმორევით წამოიძახა ზაურმა.

— რა დიდი გამოცნობა უნდა, სეტყვაა, — მოისმა კუთხიდან.

— რა მოხდა, ზაურ? — წყრომით კითხა მასწავლებელმა.

— მაპატიეთ, მასწავლებელო, — ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა ბიჭმა. ახლა ის ერთს ნატრობდა, ჩქარა დამთავრებულიყო გაკვეთილი, მისი ფიქრები შორს, მაშავერას ველებზე გაშენებულ პატარა ნაკვეთს დასტრიალებდა.

პირქუში ცა საზარლად გრუხუნებდა. ელვა თვალისმომჭრელად იკლაკნებოდა. როგორც კი ზარის წკრიალი გაისმა, ზაური კლასიდან შეშლილივით გამოვარდა, სულმოუთქმელად მირბოდა. სოფელს გასცდა და ვიწრო ორღობით თავქვე დაეშვა.

შეითალოს ნაკვეთში იმ წელს ჩაყარეს ვაზი, როცა ზაურ წაქაძე სკოლაში შევიდა. მეხუთე კლასში იყო, როდესაც სკოლის პიონერ-მოსწავლეებთან ერთად ვენახის დამუშავებას მოჰკიდა ხელი.

ახლაც ახსოვს, რამდენიმე წლის წინ ვენახის სხვლაში რომ ეშველებოდა კოლმეურნეებს, ქებით წაქეზებულმა ბიჭმა ვენახის ოცდაათი მწკრივი საკუთრად აიღო. აი, ერთი ვაზის წინ გაჩერდა. ცერის სისხო რქები ამოუყრია, რომელი დატოვოს? ყველა ენანება. იქნებ ჯობდეს, ორი მაინც გაუშვას, მაგრამ ვაზი დაიჩაგრება. ერთ-ერთი სამამულედ უნდა მისცეს და მხოლოდ ერთი გაუშვას საყურძნე. მაკრატლის პირი ფრთხილად შეახო მესამე კვირტს და... გადანაჭერიდან ვაზის ცრემლებმა გადმოჟონა. ძველმა მევენახემ, მოხუცმა ლევან ყაველაშვილმა, მხარზე ხელი დაადო და ჩუმად შეაპარა.

— ცოდვაა, არ უნდა მოგეჭრა.

ზაურიმ გაკვირვებით შეხედა მევენახე მოუხვდა.

— ძლიერი ვაზი რამდენიმე რქასაც აიტანს.

მტირალ ვაზს დააცქერდა, გული ამოუჯდა, სამამულე რქა მომიჭრიაო, და მასაც ცრემლები მოადგა თვალზე. ბავშვი იყო და სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში იმ ვაზის ცრემლები. ახლა კი დავაჟკაცებულად გრძნობდა თავს, ვენახის მოვლაშიც ისე გაიწაფა, რომ ახლა თვითონ ასწავლიდა სხვას!

როდესაც ზაურმა შეითალოს უწია, ტყვიისფერმა ღრუბლებმა ზანტად მიატოვეს მაშავერას ჭალები, სეტყვამ და შხაპუნა წვიმამ, თითქოს გული იჯერაო, — გამოიდარა. დაკუშშული მტევნის დაქექილი მარცვლებიდან წვეთ-წვეთად მოედინებოდა ნაწვიმარი. კარგი მოვლა-პატრონობით ვენახს ჯერ კიდევ ეშველებოდა, მარცვალს ხომ ახლა უნდა ჩასდგომოდა წვენი.

იმ დღიდან ვენახი მოსვენებას არ აძლევდა ზაურს. როგორც კი გაკვეთილები დამთავრდებოდა, იქით გაეშურებოდა, თვითეულ ვაზს თავს დასტრიალებდა, ელოლიავებოდა, ზედმეტ ფოთლებს შემოაცლიდა ყურძენი ჩამიხურდებაო, ქარისაგან ჩამოწეწილ ლერწებს აუბამდა.

და, აი, შემოდგომაც... უქმად არ ჩაუვლია ზაურისათვის ამდენ შრომას. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 84 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო, ფაქტიურად კი 204 ცენტნერი მიიღო და მარტო პრემიის სახით 14.600 მანეთი ერგო. ამ წელს 773 შრომადღე გამოიმუშავა. წვრილშვილის პატრონია ანდრო წაქაძე, ახლა რაღა უჭირს. ისეთი შრომისმოყვარე ბიჭი უვაჟკაცდება, რომ ბოლნისში ტოლი ვერ გაასწრებს.

იმ უბანში ისე ვერ გაივლით, რომ წაქაძეების მწვანე ხეივნით დაბურულ ეზოში ჩადგმულმა კოპწია სახლკარმა თქვენი ყურადღება არ მიიქციოს. და აკი ანდრო წაქაძეც ველარ მალავს სიხარულს და, როდესაც სოფელში გაივლის, სიამაყით ხშირად ეტყვის თანასოფლელებს:

— ჩემი ოჯახის დედაბოძი ახლა ჩემი ზაურია.

მთელი სოფელი ემადლიერება ზაურს.

— ძაან ბიჭი ჰყავს ანდროს, სოფლის სახელია, ღმერთმა გვიზარდოს მაგისთანები!

როდესაც ზაურმა დაბა ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრა, ბევრი ფიქრობდა: აი, გაგვექცევა სოფლიდან ზაურ-ბიჭი, ანდა, ხელს როგორ შევუშლით, რა უფლება გვაქვს.

სკოლის დირექტორმა ევტიხი გობეჯიშვილმა კი ასე დაარიგა: დარჩი, სოფელში, სწავლა კი დაუსწრებლად გააგრძელეო.

ზაური სოფელში დარჩა. ზაურს კვეხნა არ უყვარს, იცის შრომის ძალა. იცის ქართული მიწის მადლიც და ბარაქაც. ზაური შრომაში დავაჟკაცდა და გამოიწრთო. რასაც კი ხელი მოჰკიდა, ყველგან კარგად წარემართა საქმე. ზაურით კმაყოფილი იყვნენ, როცა იგი კოლმეურნეობაში ხეტყის მხერხავად მუშაობდა, ხოლო როცა სადურგლო სახელოსნოში გადავიდა, ბრიგადირ ელგუჯა ჯაფარიძეს მთელ სოფელში სათქმელად ეს ჰქონდა: — ეს ცეროდენა ბიჭი ყველას გვასწრებს, ალმასის ხერხივითააო.

წელს ბოლნისში ბარაქიანი შემოდგომაა. წელდაზნექილი რქაწითელი, მწვანე, საფერავი მკრეფავებს უძახის. ზოგან კოლმეურნეები უკვე შესევიან ზვრებს და რთველი გაუჩაღებიათ. ქარვისფერი მტევნებით დატვირთული ურმები ჭრიალით მიემართებიან საკოლმეურნეო მარნებისაკენ.

განთიადის მოახლოებისას მშვიდად ჩასძინებოდა ზვრის ყარაულს, მაგრამ ფრთხილ ძილს მიჩვეული მოხუცი ფაჩუნმა გამოაღვიძა, სწრაფად წამოიჭრა ზეზე, გაინაბა, მიაყურა და, როდესაც გარკვევით შემოესმა ფეხის ხმაური, რიხიანად გასძახა:

— ჰე, ჰე, ჰეი, რომელი ხარ?

— მე ვარ, ძია კოტე, მე, — მოესმა ნაცნობი ხმა. — ველარ მოვისვენე, ძია კოტე, დღეს რთველი მაქვს, რთველი... სტუმრებსაც ველოდები. თბილისიდან ჩემი თანაკლასელები ჩამომივლენ.

ზაურმა მოხუცს მხრებზე ხელი მოუთათუნა და შემდეგ ნამიან ბალახში ვენახს შეუყვა. ოქტომბერია, დანამული მტევნები ნელა შეირხნენ. დაფიქრებული გაჰყვა ვაზებს, გაახსენდა: პირველად რომ შემოვიდა ამ ვენახში, მეორე წვერ მავთულს ფეხის თითებზე შემდგარი ძლივსა სწვდებოდა, ახლა კი მხარბეჭგანიერს, ახლად წვერულვაშამოწვერილ ჭაბუკს მესამე მავთულზე რქადაყრილი ვაზი კოჩორზე დაჰყურებდა. ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ. გუშინდელ დღესავით ახსოვს სკოლაში გატარებული ბავშვობა, თანაკლასელებთან მეგობრობა.

აი, მისი კლასის მეგობრები: ოქროს მედალოსანი როინ ქუტიძე, ვერცხლის მედალოსანი ვალოდია მინაშვილი, ახლა ისინი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. დები იულია და ლენა კოტოლაშვილები, დები რაისა და თინა გიგაშვილები, ძმები ბონდო და ჯანდო ბარათაშვილები. შრომა სირცხვილი როდიაო, თქვეს მათ და სკოლიდან პირდაპირ კოლმეურნეობაში დაიწყეს მუშაობა.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკოლაში მარტო ესენი როდი გამოირჩევიან. არა, ამ სკოლას ბევრი კარგი მოსწავლე გამოუზრდია და ბევრს გამოზრდის კიდევ.

# სულხან-საბას მშობლიურ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა





## შემოდგომა ტანძიაში

სულხან-საბას სამშობლო ტანძია.. სულხანის დაბადების შემდეგ სამას პირველი შემოდგომაა. ტანძიელები ისთვლიან მთელი წლის დაძაბული შრომის ნაყოფს.. დიდ-პატარა მინდვრებსა და ბაღებშია გასული. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი არსენა აფაქიძე კიდევ ერთხელ ამოწმებს სათესლე ფონდში შესანახი სახელგანთქმული თავთუხის ხარისხს... პატარა კაკო აბრამიშვილი ამ ზაფხულს მამასაც ეხმარებოდა ფუტკრის მოვლაში, მინდორშიაც დარჩენილ თავთავებს კრეფდა. ახლა კი ტანძიის დაწყებით სკოლაში დადის და უკვე იცის ვინ იყო მისი დიდი თანასოფლელი „ძია საბა". თენგიზ დემურაძე ჯერ სკოლამდელი ასაკისაა, მაგრამ ისიც ეხმარება მშობლებს ჭირნახულის დაბინავებაში. სურათებზე — ჩანართის პირველი გვერდი (მარცხნიდან მარჯვნივ): პიტარეთის მონასტერი — ორბელიანთა საგვარეულო საძვლე, მოსწავლე კაკო აბრამიშვილი, აგრონომი არსენა აფაქიძე, მაშავერის ხეობის ხედი...

მეორე გვერდი — სიმინდის ტეხვა ტანძიის მინდვრებში...

მესამე გვერდი — თენგიზ დემურაძე.

ფოტო გურამ თიკანაძისა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ალექსის ხელით" ნახატი ასოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ქუთათელაძე

სახელები ძველ ქართველ მხატვართა ძუნწად შემოუნახავს მათ მიერვე მოხატულ ხელნაწერებს. იშვიათ შემთხვევაში ხერხდება მათი სახელების ამოკითხვა მიფარვით მიწერილ ნახატის რომელსამე კუნჭულში ან ქართული ასოს მოხდენილ აღნაგობაში.

ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ტარასი არქიმანდრიტის სახელით ცნობილ „ნახატ ასოებში".

XVIII-XIX საუკუნეში ცნობილია მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა.

არა ერთ შესანიშნავ ხელით მნუსხველ მესხიშვილს იცნობს ქართულ ხელნაწერთა მდიდარი ფონდები. მათ შორის ყველაზე პოპულარულია დავით რექტორი, მრავალ თხზულებათა ავტორი, კომენტატორი და თაობათა აღმზრდელი. მას ნუსხურისა და მხედრული ხელით წერაში არ ჩამოუვარდებოდნენ ძმები: გიორგი და სოლომონი, განსაკუთრებით კი, როგორც იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს, ეს უკანასკნელი ყოფილა ამ მხრივ შეუდარებელი:

...გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა, არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა —ნათქვამია „კალმასობაში".

ამ სოლომონის შვილი იყო ტარასი არქიმანდრიტი, საკმაოდ ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართველი მკითხველი ტარასის სახელით იცნობდა მშვენივრად შესრულებულ თავ ასოებს, ჯერ კიდევ გრიგოლ ტატიშვილის გამოცემით, ხოლო მის ნიმუშების ასლებს გაეცნო ბენო გორდეზიანის წიგნით (გრიგოლ ტატიშვილი, 1957, გვ. 68) და მურმან ურუშაძის ნაშრომით (პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი, 1958)

საქმე იმაშია, რომ ტარასი არქიმანდრიტის სახელით ცნობილი და გამოცემული ნახატი ასოები წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სათაური ასოების გაფორმებას და შესრულებულია ტარასი არქიმანდრიტის პაპის, საბას თანამედროვე მწიგნობარ-მგალობელ ხელოვანის ალექსი მესხიშვილის მიერ, 1730 წელს.

ალექსი მესხიშვილი ფრიად განსწავლული მწიგნობარი, მრავალი წიგნის მნუსხველი, გამმართავი და მომხატავი იყო. მისგან უბადლოდ შესრულებული საბას ლექსიკონის სათაური ასოები გამხდარა მიბაძვისა და შთაგონების წყაროდ მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელთათვის. მაგალითად, მიხაილის (მესხიშვილის) მიერ ორ ცალად გადაწერილ საბას ლექსიკონში (1784 წ.) გამოყენებულია ალექსის მიერ შექმნილი სათაური ასოების მოტივები.

ალექსი მესხიშვილი (XVII-XVIII სს) მის მიერ გადაწერილ და მოხატულ წიგნთა (ასეთი კი ბევრია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში) ანდერძებში ყველგან თავის თავს მხატვრის ძედ და მხატვრის შვილად იხსენიებს. მხოლოდ ერთგან იგი მხატვარი მამის სახელსაც გვაწვდის.

...წერად ჰელვყავ ტფილურთა მოქალაქე ქმნილის ჰელოანის მხატვრის გრიგოლ მღუდლის ძემან ალექსიმ.

ალექსი ხაზს უსვამს მამის მხატვრობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გრიგოლი იმ დროს საკმაოდ პოპულარული მხატვარი უნდა ყოფილიყო. წარმოუდგენელია მრავალ მოხატულ ხელნაწერთა შორის მისი ნახელოვნებიც არ ერიოს; შესაძლოა შეუსწავლელიც არის, მაგრამ იცნობენ ანონიმი მხატვრის სახელით...

გრიგოლი XVII საუკუნის მეორე ნახევრის მხატვარია. ამ დროის ისტორიული პირნი (საერონი და სასულიერონი), რომელთა დაკვეთითაც შეეძლო მოეხატა მას ხელნაწერები (თუ ხატები), ცნობილნი არიან. ამასთანავე გამოვლენილია ალექსის მხატვრობა, წერის მანერა, რომელიც მამისაგან ექნებოდა ათვისებული. მისი XVII საუკუნეში მოხატულ ხელნაწერებთან შეჯერების საშუალება არსებობს.

დავუბრუნდეთ საბას ლექსიკონის იმ ცალს (S—4748), რომელიც ალექსი მესხიშვილის ხელითაა გადაწერილი და მოხატული (ამ ლექსიკონისთვისვე წაუმძღვარებია მას ავტორის მინიატიურული პორტრეტი, თანამედროვე მეცნიერის, მწერლისა და მოღვაწის ნათელი ხსოვნის აღსანიშნავად). მხოლოდ



ამ ხელნაწერში აქვს აღნიშნული ალექსის, რომ ისიც (როგორც მისი მამა გრიგოლი) ხელოვანია, მხატვარია:

დაიწერა ჰელითა მხატვრის ძის ალექსის ათამონისა ღვთისა ჰელოვანისა მწერალ-მწიგნობარ-მგალობელისა. გარდა ამისა, როგორც აქ წარმოდგენილი ნიმუშებიც გვიჩვენებს, მან თავისი სახელი („ალექსი", „ჰელითა ალექსისათა") „ს"-სა და „ხ"-ს ფეხში მოათავსა.

ტარასი მესხიშვილს 1816 წელს გადაუწერია საბას ლექსიკონი (თავისი ბიძის დავით რექტორის ნუსხიდან), რომლის შესამკობად გამოუყენებია საბას ლექსიკონის მოხატულობა, შესრულებული მისი პაპის მიერ 76 წლის წინ. აქ ტარასის პირდაპირ გადმოუღია ალექსის სათაური ასოები, მხოლოდ პროპორციების ოდნავი შეცვლით და უფრო მუქი (შინდის ფერი) საღებავის ხმარებით. მსგავსად პაპისა, მასაც თავისი სახელი მოუთავსებია ორ ასოში: „მ"-სა და „ხ"-ში (პირველში—„ტარასი", ხოლო მეორეში—„ჰელითა ტარასისათა").

ტარასი არქიმანდრიტი ალექსისეული სათაური ასოების პირის გადმოღებით დაკმაყოფილებულა და იგივე ასოები (ალბათ ხატვაში დახელოვნების შემდეგ) გამოუყენებია ქართული მხატვრული ანბანის შესადგენად. აქ დახატულ „მ"-შიც გამოსახულია სახელი ტარასი. ამ საბუთს თუ ისიც დაემატა, რომ საბას ლექსიკონის პირველ გამომცემელს რაფიელ ერისთავს ეს მასალა ტარასის არქივიდან, ან მის მახლობელთაგან ჰქონდა მიღებული, ცხადია მხატვრობითაც ცნობილი ტარასის მიჩნევას მხატვრული ასოების შემოქმედად არაფერი შეუშლიდა ხელს.

ალექსი მესხიშვილს საბას ლექსიკონის სათაური ასოებისათვის გამოყენებული აქვს წითელი საღებავი, რომელსაც ოდნავ მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. მხატვარი დამატებით ფერად ხმარობს ქაღალდის მოყვითალო, ეტრატის ფერს, რაც საერთო კოლორიტში ფერთა ერთგვარ ჰარმონიას ქმნის: იგი მეტად რბილი, ნაზი საღებავის შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსიკონის მთლიან ფურცელზე. ამ სინაზეს კიდევ უფრო აძლიერებს გრაფიკული წესით სადად შესრულებული ხვეულები. ალექსი თავისი სახელის აღსანიშნავად იყენებს ქაღალდის ფონს, სახელის შემადგენელი ასოების მოხაზულობას სტოვებს შეუღებავად.

ალექსი მესხიშვილმა თვითონ მოხატა მისგანვე გადაწერილი საბას ლექსიკონი, ამიტომ სათაური ასოები ჰარმონიულ მთლიანობაშია ტექსტთან, ქაღალდის ფერთან, სიტყვათა დასაწყის ასოებთან. მისი ნამუშევარი ორიგინალურია, საკუთარი შემოქმედების შედეგია.

მურმან ურუშაძის კარგად დაწერილსა და გამოცემულ წიგნში (პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი) წარმოდგენილი ნიმუშები, სათაურით: „ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოები..." ზუსტად იმეორებს გრიგოლ ტატიშვილის მიერ ხეზე გადატანილსა და დასტამბულს. მხედველობაში გვაქვს ასოების წითელი საღებავის სიმუქე.

დასახელებული წიგნის ავტორის მ. ურუშაძის დაკვირვებით ტარასის მიერ ნახატი თავი ასოები გრაფიკული მოხაზულობითა და გაფორმებით თავის ანალოგიას პოულობს XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერ წიგნებში, კერძოდ მოქვის ოთხთავთან. ახალგაზრდა მკვლევარს „ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოების" წყარო (ალექსი მესხიშვილის სათაური ასოები) ნახული რომ ჰქონოდა, მის ისედაც სწორ დასკვნას მოქვის ოთხთავის გასაოცარი

ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებულ თავ ასოებთან ანალოგიურობის შესახებ, მეტ დამაჯერებლობას შემატებდა. ალექსის სათაური ასოების ფერის (მოყვითალო, წითელი) სინაზე და სითბო, შეხამებული ეტრატისფერ ქაღალდის ფონთან, მართლაც პოულობს მსგავსებას მოქვის ოთხთავის თავ ასოებთან.

ტარასი არქიმანდრიტი ქართული მხატვრული ანბანისთვის ალექსის სათაური ასოების მოხაზულობას თითქმის-უცვლელად სტოვებს, რიგ შემთხვევაში ასოებს ადიდებს (მაგ. ასო „ზ"-ს ზედა მონახაზი, რომელიც ფრინველის თავ-ჭისრისა და ნისკარტის მორკალულითაა შედგენილი, ტარასის რატომღაც გადმოუბრუნებია და ქვემოთ მოუქცევია!).

ალექსის ასოების მოხატულობაში ხვეულების გრაფიკული მონახაზებისათვის გამოყენებულია სინგური, ტარასი კი მათ შავი სალებავით ასრულებს, რის გამოც, მხატვრული ალქმის თვალსაზრისით, ეს ასოები უფრო გამოკვეთილია. დამატე-



ბით თეთრ ფერს, რომელსაც, მსგავსად ალექსისა, ტარასიც იყენებს, ყველგან შავ კონტურს ავლებს. ანბანის თავისუფალი არე ტარასის შესაძლებლობის ფარგლებში შევსებული აქვს შავი ხვეულებით (მაგ. და და სხვა). ტარასის თავისი სახელი „მხატვრულ ასოებში" გამოუსახავს წითელ ფონზე შავი სალებავით (იხ. ასო „მ") და არა ქაღალდის ფონის შეუფერავად, როგორც ეს დედანშია (S—4748) ანდა მისგან 1816 წ. გადაწერილ ლექსიკონში (A—288).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით (დამატებითი შავი კონტურის შემოვლება, გრაფიკული შავი ხვეულის მაქსიმალური გამოყენება ხაზობრივი კონტურების სიმკვეთრით) ტარასი მესხიშვილმა რამდენადმე განსხვავებული ასოები ჩამოაყალიბა. მან, თავისი პაპის, ალექსი მესხიშვილის მიერ საბას ლექსიკონისათვის დახატული სათაური ასოები გამოიყენა ქართული მხატვრული ანბანის შესადგენად, რომლითაც შემდეგში ასე ფართოდ და ოსტატურად ისარგებლა მხატვარმა გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა.



### (ხულხან-ხაბა ორბელიანის მინერალოგიური სისტემა)

**თინა ავალიანი**

სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული ცოდნისა და ინტერესების სიღრმე და სიფართოვე, განზოგადებისა და შორსმჭვრეტელობის უნარი და ალღო, მისი ყოვლისმომცველი ნიჭი და ერუდიცია აკვირვებდა არა მარტო მის თანამედროვეებს, არამედ საუკუნეების განმავლობაში იწვევს განცვიფრებასა და პატივისცემას.

სულხან-საბას მიერ შექმნილ შესანიშნავ ლექსიკონში — „სიტყვის კონაში" თავმოყრილი მინერალოგიური ხასიათის მასალების ანალიზი კიდევ ერთხელ და ახალი თვალსაზრისით ამჟღავნებს მის დიდ ერუდიციას და მეცნიერული მასალის სისტემატიზირების შესანიშნავ უნარს.

როგორც ცნობილია, „სიტყვის კონა" თუმცა განმარტებითი ტიპის ლექსიკონია, მაგრამ მრავლად შეიცავს ენციკლოპედიური ხასიათის ცნობებს. ლექსიკონის აგებულება, სიტყვების დალაგებისა და განმარტების პრინციპი, გვიჩვენებს, რომ დიდი ლექსიკოგრაფი მიზნად ისახავდა გარკვეულ სისტემაში მოეყვანა მეცნიერების მრავალი დარგი. ამ ამოცანის შესაბამისად, სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვების ბუდეებად დალაგების დროს, ბუდეებში ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები კი არ არის თავმოყრილი, როგორც ჩვეულებრივ ლექსიკონებშია, არამედ საგნობრივად დაკავშირებული სიტყვები. „საბას ლექსიკონში ბუდე ემყარება გვარეობით ცნებას, როგორც ძირითად ცნებას და მასთან თავს უყრის სახეობითს ცნებებს" (არნ. ჩიქობავა).

„სიტყვის კონაში" ბუდეებად თავმოყრილი მინერალოგიური შინაარსის სიტყვების შესწავლიდან ირკვევა, რომ სულხან-საბამ არა მარტო შეკრიბა და განმარტა მინერალოგიური სახელწოდებანი და ტერმინები, არამედ მოიყვანა ისინი გარკვეულ სისტემაში.

„სიტყვის კონაში" განმარტებულია ასზე მეტი სიტყვა, რომელიც მინერალთა სახელწოდებებს და მინერალოგიურ ტერმინებს წარმოადგენს. რასაკვირველია, თანამედროვე თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ეს სიტყვები არა მარტო მინერალოგიას ეკუთვნიან, არამედ მინერალოგია-გეოლოგიის მეცნიერებათა ახლა სრულიად გამოცალკევებულ მეცნიერულ დისციპლინებს, მაგრამ სულხან-საბას დროს ისინი მინერალოგიის კუთვნილებას შეადგენდნენ და, ამგვარად, მის მიერ დამუშავებული კლასიფიკაცია, მინერალოგიურ კლასიფიკაციათა რიცხვს ეკუთვნის.

„სიტყვის კონაში" თავმოყრილი მინერალოგიური მასალა შემდეგნაირადაა დალაგებული. ანბანზეა გაწყობილი ცალკეულ მინერალთა ალწერაგანმარტება (აქატი, ალაბასტრი, ამეთვისტომი, ანთრაკი, ბექმედი, ბივრილი, ბროლი, გიშერი, თალხი, იაგუნდი, იასპი, კაჟი, ლალი, ქარწბია და სხვა). ხოლო ბუდეები და მინერალოგიურ ტერმინების განმარტებანი: — „ქვა", „სასრევი", „ალრალების ქვა", „ილეკრო", „არძანი", „სპეკალი" — მინერალოგიურ გვარებად დაყოფას და ამ გვარების განმარტებას შეიცავენ.

ცალკეულ მინერალთა განმარტების დროს სულხან-საბას მოყვანილი აქვს **მინერალის სახელწოდება და მისი სახეობანი** („აქატი ესე არს რომელსა აინალურად უხმობენ, რომელსამე სულეიმანად, რომელსამე იამანად, სამოთხგუარია..."); **სახელწოდების სინონიმები** („ბექმედი—თვალია მწვანე, რომელსა სპარსნი ზებერჯათს უწოდებენ", „კაჟი—ტალი, სალრტილი, ცეცხლის ქვა"); ფიზიკური თვისებები: **ფერი** (საფირონი — ლურჯი იაგუნდი, იისფერი და მყიის ფერი, სამსავე ქვია..."), **ბრწყინვალება** („ცეცხლებრ ელავს"); **მოპოვების ადგილი** („პაზიონი.... ინდოეთს ტოპაზს ქალაქს იპოვება, ბივრილი... იპოვების ტავროს, ევფრატის გასავალსა"); **გავრცელება** („დია ძნელი საშოვარია"); **გამოყენება-დანიშნულება** („თალხი—ქვაა არს ჰექასავით, თხელი, რომელი ქარტის სითხედ დაიპება და სარკმლისა სანათურსა ზედა იხმარებენ, ადვილად არ შეიმუსრის და გვიანად დაიწვის"); **წარმოშობა** („სპონდი არს წყალთა მიერ ქვაქმნილი"), **ფასი** („დია ძვირფასია") და სხვ.

მინერალთა კლასიფიცირებისათვის სულხან-საბას ძირითად თვისებად ადამიანის მიერ მინერალთა გამოყენება აურჩევია. იმის მიხედვით, თუ რისთვის და როგორ იყენებს ადამიანი ამა თუ იმ მინერალს და ქანს, სულხან-საბას მისთვის სათანადო ადგილი მიუჩნევია თავის მინერალოგიურ სისტემაში. მინერალთა ალწერილობის დროს მათი გამოყენების საკითხს სულხან-საბა დიდ ყურადღებას აქცევს — ამიტომ განმარტებაში ვხვდებით, მაგალითად, ასეთი ხასიათის პრაქტიკულ ცნობებს:— „თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი", „ბალავარი... აძირკულად დასადები კედელთათვის" და სხვა.

ყველა მინერალებსა და ქანებს სულხან-საბა აერთიანებს ერთ საერთო სახელწოდებით „ქვა", შემდეგ გამოყოფს მინერალურ გვარებს:

1. **სახლდობრ ქვა**, რომელშიც შედიან სილა, ქვიშა, კენჭი, ღორღი, ლოდი,—ამავე გვარს, ცალკეულ განმარტებათა შინაარსის მიხედვით, ეკუთვნიან თიხა და ძნონი. საყურადღებოა, რომ სახლდობრ ქვების, ე. ი. თანამედროვე გაგებით — მონატეხოვანი ქანების კლასიფიკაციის დროს საბა იყენებს მონამტვრევთა სიდიდის მიხედვით დაყოფის პრინციპს, რაც სავსებით შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ კლასიფიკაციას, რომელიც დღესაა მიღებული დანალექ ქანთა პეტროგრაფიაში. საბას გამოყოფილი აქვს თიხა („ტალახი"), ძნონი („თიხისა და ქვიშის საშუალო"), სილა („ვითარცა გაცრილი"), ქვიშა („ხვარბალთა ოდენი"), კენჭი („ცერცვთა ტოლი და უდიდესი"), ღორღი („ნამტვრევი და კენჭი უდიდესი") და ლოდი („ქვა დიდი").

2. **არძანი** („ე. ი. სააღმშენებლო ქვები: „არს ქვა კაცთაგან აღებად საჭირო") მას ეკუთვნიან: ბალავარი, კარკალი, ფიქალი, სპონდიო, სალა, მარილის ქვა (აქ სააღმშენებლო ქვებია ძირითადი თავმოყრილი, გარდა ალასი და მარილის ქვისა).

3. **სასრევი** („არს ქვა მახვილთ აღმლესუველი"— ე. ი. აბრაზივი) განიყოფებიან შვიდათ: სასრევი არს ქვა ხრმალთა, მანგალთა და ცელთა აღმლესველი; ხოლაზნა არს ქვა სამართებელთა და მაშართა აღმლესველი; მაქური არს ქვა დანათა და მისთანათა აღმლესველი, ხარტი არს ქვა ცულთა, წალდთა და პირბლაგუთა აღმხარტველი... და სხვ.

4. **ილეკრო** (ე. ი. მეტალები: „ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველივე მისთანათა ერთბამად").

5. **ალრალება** (ე. ი. მეორე თანრიგის ძვირფასი ქვები. — „ალრალების ქვა არს: ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაჟვარდი, ქარვა და მისთანანი").

6. **სპეკალი** (ე. ი. პირველი თანრიგის ძვირფასი ქვები — „სპეკალი არს ქვა ყოველივე თვალი პატიოსანი და ძვირფასი"). თუმცა სულხან-საბას— ილეკრო „ქვის" ბუდეში არ შეუტანია, მაგრამ ლექსიკონის ერთ-ერთი ვარიანტის მინაწერი ამტკიცებს, რომ მინერალთა კლასიფიკაციის დროს იგი ილეკროსაც საერთო სისტემაში გულისხმობდა. ეს მინაწერი შემდეგია:

სპეკალი — ყოველი თვალი პატიოსანი.

ილეკრო — ოქრო, ვერცხლი, რკინა და ყოველი მისთანანი.

ალრალება — ძოწი, ამარტა, ქარვა, ლაჟვარდი და მისთანანი (იხ. „სიტყვის კონა" ს. იორდანიშვილის რედაქციით 1949 წ.).

აღსანიშნავია, რომ საბას მინერალოგიურ სახელწოდება-ტერმინების განმარტების დროს ვრცელი ლიტერატურა გამოუყენებია, რაც მტკიცდება როგორც ადრე არსებული მინერალოგიური კლასიფიკაციების უშუალო ცოდნით (იბნ-სინასი, ალ-ბირუნისა და სხვათა), ისე ლიტერატურული წყაროების უშუალო დამოწმებით (ბიბლია, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, ნემესიოს ემესელი, ანდრია სალოსი, იოსიპოსი).

მეტად საინტერესოა საკითხი სულხან-საბას უშუალო მინერალოგიური დაკვირვებების წარმოების შესახებ. ცხადია, მეცნიერის ინტერესი ქვებისადმი აიხსნება იმით, რომ სამხრეთი საქართველო იმთავითვე ცნობილი იყო სააღმშენებლო ქვის მრავალფეროვნებით. ბოლნისის, სამშვილდისა და აკაურთის საბადოები მრავალი საუკუნის განმავლობაში აწვდიდნენ ქართველ მშენებლებს შესანიშნავ მასალას. საორბელოში მრავლად მოიპოვებოდა სასრევიც (აბრაზივები) — (დმანისში, საფარლოში, ბოლნის-კაზრეთსა და ჩათახში ცნობილია თეთრი და ნაცრისფერი კვარციტების საბადოები). ყურადღების ღირსია, რომ საბას მიერ ორ შემთხვევაში მოხსენებულია მინერალები (იასპისი და სარდიონი), რომელთა საბადოები საქართველოში ცნობილი არ იყო და მხოლოდ უკანასკნელ წლებში, სწორედ სულხან-საბას ყოფილ სამკვიდროში მდებარე მადნეულის საბადოს ძველ, და ახლა მიტოვებულ მაღაროებშია აღმოჩენილი. ცხადია, რომ ამ გარემოში, სადაც საბამ სიჭაბუკის წლები გაატარა, მას უნდა აღძროდა ინტერესი ქვებისადმი, რაც ასე მკვეთრად აისახა დიდი ლექსიკოგრაფის შრომაში.

თუმცა სულხან-საბას საგანგებო მინერალოგიური ტრაქტატი არ დაუწერია, მაგრამ მის „სიტყვის კონაში" სრულიად გარკვეული მინერალოგიური სისტემაა მოცემული.




## სულხან-საბას წიგნები

ქართული საბჭოური წიგნის გამოცემათა ისტორიის მანძილზე საქართველოში 200 მილიონ ცალზე მეტი წიგნი გამოიცა. მათ შორის ქართული ეროვნული კულტურის დიდი მოამაგის—სულხან-საბა ორბელიანის წიგნებს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მარტო ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში საქართველოში საბას ნაწარმოებები სხვადასხვა დროს ცამეტჯერ გამოვიდა და ტირაჟმა 400.200 ცალს მიაღწია. საბას ამ ცამეტი წიგნიდან 10 ქართულ ენაზე ლაიბეჭდა, 2 — რუსულ ენაზე. საბას იუბილეს დღეებში კი გამომცემლობა „ცოდნამ" „სიბრძნე სიცრუისა" ინგლისურ ენაზე გამოსცა. რუსულ ენაზე ორჯერ გამოცემული (1939 და 1959) „სიბრძნე სიცრუის" ტირაჟმა 310.000-ს მიაღწია.

საბამ დაგვიტოვა: „სიბრძნე სიცრუისა", „სიტყვის კონა", „მოგზაურობა ევროპაში" და „ქილილა და დამანა" (ვახტანგ VI-თან თანაავტორობით), სასულიერო შინაარსის — „სწავლანი" და „სამოთხის კარი".

რევოლუციამდე გამოცემულ საბას წიგნებზე ტირაჟები არაა აღნიშნული. ამიტომ საქართველოს წიგნის პალატის მიერ აღრიცხული ადრე გამონაცემი საბას 10 წიგნის საერთო ტირაჟის დადგენა შეუძლებელი ხდება. რევოლუციამდე გამოცემული წიგნების დიდ ნაწილს გამოსაცემად სხვადასხვა დროს ამზადებდნენ ნ. მთვარელიშვილი, პ. უმიკაშვილი და რაფიელ ერისთავი. საქართველოს წიგნის პალატაში აღრიცხული საბას ყველაზე ადრე გამოცემული წიგნი თარიღდება 1859 წლით და სანკტპეტერბურგში დაბეჭდილა ასეთი სათაურით: „წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი საბა-სულხან ორბელიანისაგან ჟამსა სიჭაბუკისა მისისა". აგრეთვე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რაფიელ ერისთავს საბას იგავ-არაკები გაულექსნია და 1878 წელს გამოუცია სათაურით: „იგავ-არაკნი, გამოკრებილნი „სიბრძნე-სიცრუიდან" და გალექსილნი". 1881 წელს რაფიელს კრილოვის არაკებიც დაუმატებია ამ წიგნისათვის და ისე გამოუცია.

საბას შესახებ ჩვენს პერიოდულ პრესაში (რევოლუციამდელ და შემდგომ პერიოდებში) მრავალი მეცნიერული გამოკვლევა და სტატია გამოქვეყნდა.

**ჯიმშერ ინწკიძე**




# რუსთაველის უცნობი ლექსი

მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპას მოედო სენსაციური ცნობა — არაბულ ენაზე აღმოჩნდაო რუსთაველის უცნობი ლირიკული ლექსი, რომლის ფრანგული თარგმანიც მაშინვე გამოქვეყნდა.

საქმე შემდეგშია: 1942 წელს მარსელში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ცნობილი არაბისტის ფრანც ტუსენის წიგნი „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები". შიგ მოთავსებულია ფრანგულად პროზად ნათარგმნი არაბული, სპარსული, ავღანური, ბელუჯისტანური, ალტაური, თურქული, ეგვიპტური, მაროკული, ჰოგარული და ჩერქეზული ლექსები. მეტად საოცარია, რომ წიგნში ვხვდებით სპეციალურ განყოფილებას, რომელსაც ჰქვია „საქართველოს სიმღერები", სადაც სხვა სამი ქართველი ავტორის ლექსებთან ერთად მოყვანილია ნაწყვეტი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან".

მაგრამ ყველაზე სენსაციური მაინც ის არის, რომ ეს ნაწყვეტი არ გვხვდება პოემის დღემდე ცნობილ არც ერთ ვარიანტში, მისი მსგავსი არაფერი გვაქვს არც პოემის გაგრძელებებსა და ჩამატებებში.

მოგვყავს ამ ნაწყვეტის სიტყვასიტყვითი თარგმანი:

**„სუსტი ვარ, ვითარცა ყლორტი ბალახისა, რომელიც ეს-ეს არის გათელა მთიელის ფეხმა: შემიბრალე მე! გფიცავ, ყოველ საღამოს მოვალ, გიხილო შადრევანთან. მამაჩემის მხედრები ვეღარ ცნობენ ჩემს სახეს. შემომხედე! დაჩოქილი ვარ. ჩემი კულულები მტვერშია ჩაცვენილი. რატომ არ თანაუგრძნობ ჩემს მწუხარებას? შენ არა გსურს მომისმინო. შენ დასჩერებიხარ გზას. გამოგყვე იქით? არა!**

**ჩვენ ვინანებთ ამ სიგიჟეს. მე გაცუთვნი შენ, მაგრამ მოიღე მოწყალება: ნუ მომთხოვ, ვუთხრა მშვიდობით ჩემს პაწია სახლს, ყველაფერს, რასაც ჩემგან აქ დავტოვებდი! მიჯნურობავ! განა მე კვლავ უნდა ვიბრძოლო? გახსოვს დაპირებანი შენნი? გახსოვს ის დღე, ოდეს შემომფიცე, რომ ბრმად დამემორჩილებოდი და იქნებოდი მონა ჩემი! ახლა შენ ბრძანებ უფლისვით, გსურს მაიძულო გამოგყვე შენ... მთანო ლილისფერნო, ულრანო ტყეებნო, წყაროსნო ხმატკბილნო, მინდორნო ყვავილებით მოფარდაგულნო! განა უნდა დავემორჩილო ჩემს მრისხანე მიჯნურს, განა უნდა სამუდამოდ მოგშორდეთ თქვენ?**

**რატომ ხარ ჩუმად? რატომ უჭერ ხელს შენი ხმლის ვადას? იქნებ ფიქრობ, დაანთხიო სისხლი ძმათა ჩემთა? ვაიმე ბედშავს! მაინც ვლოცავ იმ დღეს, როცა შენ გაგიცან. ხედავ, არ უნდა გეთქვა ჩემთვის სიტყვანი მომჯადოებელნი, რომელთაც დამავიწყებინეს, რომ მე სატანჯველს მივეცემოდი.**

**გახსოვს ის დილა გაზაფხულისა? ჰაერში იდგა ხმოვანება ფუტკართა, ასულნი გალობდნენ მუსარის კრეფის დროს. ჩემი ხელი ხელში გეპყრა. შენ უცქეროდი მერცხალს, რომლის კამარამ აწერა ჰაერში სიტყვები დიდებისა, სინათლისა და სიხარულისა.**

**შორს არის ის დღე! რამდენი ცრემლი დავღვარე მას შემდეგ. მაგრამ შენ სტირი, სტირი... დაასვენე შუბლი შენი ჩემს მკერდს, დაე, იდინოს ცრემლებმა შენმა. ყური მიუგდე წყაროს ჩურჩულს. იგი შენ გითვლის მადლობას, რამეთუ შენ უარყავ სასტიკი ზრახვანი შენნი. ისმინე ჩურჩული ტყისა, იგი გეუბნება, რომ ნიადაგ შემოგთავაზებს თავის ლბილ ხავსს".**

რატომ ჰქვია ამ ლირიკულ ლექსს ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან"? ნუთუ კიდევ არსებულა პოემის სხვა ვარიანტი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ, სადაც ეს ლექსი შესაძლებელია ინტერმეცოს სახით იყო ჩართული? თუ რუსთაველის ყველა პოეტურ ნაწარმოებს მისი მთავარი პოემის სათაურქვეშ აერთიანებდნენ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა აღმოსავლური პოეზიის ისტორიაში? ტუსენის მიერ ნასარგებლები არაბული ტექსტი თარგმანია, თუ იგი პირდაპირ არაბულ ენაზეა შეთხზული? — აი, ის კითხვები, რომლებიც დღემდე გამოურკვეველი რჩება.

ტუსენის წიგნში, რუსთაველის გარდა, წარმოდგენილია შავთელის, რომელიღაც თავადი ზუმელისა და კიდევ ერთი ანონიმი ქართველი პოეტის ლირიკულ ლექსთა პროზაული თარგმანები. თავადი ზუმელის ლექსს ეწოდება „ვარდი", შავთელისას — „დაბრკოლება", ხოლო ანონიმი ქართველი პოეტის ლექსის სათაურია „ღამე".

ისმება კითხვა, — როგორ მოხვდა ქართული სიმღერები ისლამურ კრებულში? ტუსენმა ხომ იცოდა, რომ წიგნში მხოლოდ ისლამურ სიმღერებს ათავსებდა? მაშ რაღა შუაში იყო აქ ქართული, ქრისტიანული პოეზიის ნიმუშები? იქნებ არაბულმა კრებულმა შეიყვანა მთარგმნელი შეცდომაში? მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარი აქ ის არის, რომ ტუსენი თავის წიგნში არსად არ იხსენიებს, საიდან, რომელი არაბული წყაროდან თარგმნა ქართული სიმღერები. საკითხის გარკვევას ისიც ართულებს, რომ ფრანგულ ტრანსკრიფციაში რუსთაველისა და შავთელის გვარები თავისებურად, მცდარად არის გადმოცემული: რუსტუალ, შავტალი. რაც შეეხება თავად ზუმელს, ასეთ სახელს ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს და მის სწორ დაწერილობაზეც ვერაფერს ვიტყვით. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც სწორი წაკითხვა იქნება ზუმელი.

ტუსენის წიგნის გამოსვლამ, რომელიც საქართველოში შეუძლებელია ცნობილი არ ყოფილიყო, რამდენადაც ჩვენ გამოვარკვიეთ, ჯეროვანი გამოხმაურება და დაინტერესება ვერ გამოიწვია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აკადემიკოს გ. წერეთლის წინასწარ მოხსენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ქართული ლექსების თარგმანთა შემცველი არაბული კრებულის არსებობის თაობაზე, და სამსონ ფირცხალავას[1] მოკლე შენიშვნას, ტუსენის წიგნის გამოსვლას, რამდენადაც ვიცით, მეტი გამოხმაურება არ ჰქონია. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, იყო ზოგიერთი ქართველი ლიტერატორის სკეპტიკური დამოკიდებულება ახალი აღმოჩენისადმი. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს ტუსენის თარგმანის ნამდვილობაში და ქართველი პოეტების ლექსები ფრანგი ავტორის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიეს. ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ტუსენი თავის წიგნში არაბულ წყაროს არ ასახელებდა.

ერთმა მეცნიერმა ასეთი აზრი წამოაყენა: არა გვგონია, რომ ეს ლექსები ქართულიდან არაბულად, ხოლო არაბულიდან ფრანგულად იყოს ნათარგმნი. ყველა ის სიმღერა, რომელიც ტუსენმა ვითომ თარგმნა, მისი საკუთარი შემოქმედების ნაყოფიაო. მან ეს თავისი შეთხზული სიმღერები სხვადასხვა ხალხისა და პიროვნების შემოქმედებას მიაწერაო.

ეს აზრი, ჩვენი შეხედულებით, საფუძველს უნდა იყოს მოკლებული. მის საწინააღმდეგოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მოსაზრებას.

1. ფრანც ტუსენი ფრანგულ ლიტერატურაში შემთხვევითი პირი როდია. იგი ცნობილი არაბისტი და აღმოსავლური პოეზიის სახელგანთქმული მთარგმნელია. აღნიშნული წიგნის გამოცემამდე ტუსენს გამოქვეყნებული აქვს არაბული, სანსკრიტული და სპარსული ენებიდან თარგმნილი მრავალი პოეტური ნაწარმოები, კერძოდ, ომარ ხაიამის რუბაიები, საადის „გოლესთანი" და სხვა.

2. ტუსენის წიგნში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთავსებულია აღმოსავლეთის პოეზიის ბევრი ნიმუში. მოყვანილ ლექსთა ყველა ავტორი ცნობილია ამ ხალხის ლიტერატურის ისტორიიდან, ხსენებულ პოეტთა ნაწარმოებნიც ასევე გამოგონებული არ არის. კრებულში თარგმნილია, მაგალითად, სურები „ყურანიდან", ნაწყვეტები „ათას ერთი ღამიდან", ჯელალ ედდინ რუმის ლექსები, ომარ ხაიამის რუბაიები, ნაწყვეტები საადის „გოლესთანიდან", ჰაფიზის ლექსები და სხვ. თუ დასტურდება, რომ აღმოსავლეთის ხალხთა შემოქმედება ტუსენმა კეთილსინდისიერად თარგმნა ორიგინალიდან, მაშ რატომ უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ რუსთაველისა და სხვა ქართული ლექსები ასევე თარგმნილია არაბულიდან? ამოდენა წიგნში რაღა მაინცდამაინც ოთხი ქართული ლექსის გამოგონება დასჭირდა მთარგმნელს?

3. რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ტუსენი რუსთაველისა და შავთელის გვარებს ასე ამახინჯებს? არის თუ არა ეს უყურადღებობა, ან შემთხვევითი ლაფსუსი? თუ ერთი წუთით დავუშვებთ, რომ ტუსენმა თავის შეთხზულ ლექსებს ავტორებად მისთვის უკვე ცნობილი რუსთაველისა და შავთელის გვარები მიუწერა, მაშ რატომ სწორად არ მოგვცა მათი დაწერილობა? საიდან უნდა სცნობოდა მას რუსთაველი და შავთელი? თუ ევროპული და, კერძოდ, ფრანგული წიგნებიდან იცნობდა, ამის საწინააღმდეგოდ უნდა ვთქვათ, რომ დღემდის არ ვიცით არც ერთი ფრანგი ან სხვა ევროპელი ავტორის შრომა, სადაც რუსთაველის გვარი რუსტუალად იყოს ტრანსფორმირებული. მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მიზეზს, რომელმაც ტუსენს დააწერინა „რუსტუალ", ჩვენთვის ნათელი გახდება ყველაფერი. საქმე ის არის, რომ მთარგმნელმა რუსთაველისა და შავთელის არაბული დაწერილობა, ამ გვარების უცოდინარობის გამო, სწორად ვერ ამოიკითხა. როგორც ცნობილია, არაბულ დამწერლობაში მოკლე ხმოვნები არ აღინიშნება, ასევე ჩვეულებად არ არის მიღებული ტექსტის გახმოვანება. ხოლო, რაც შეეხება არაბულ ასო „ვავ"-ს, იგი სხვადასხვა სიტყვაში შეიძლებოდა წაკითხულიყო ვ-დ, ო-დ ან უ-დ. როგორ უნდა წაეკითხა ტუსენს მისთვის უცნობი ავტორის გვარი? ცხადია, მან აირჩია ნებისმიერი წაკითხვა, რადგან სხვა რომელიმე ევროპული წყაროდან ეს გვარები არასოდეს სცოდნია (არაბული დაწერილობა რუსთაველის გვარისა შეიძლება წაკითხულ იქნეს რამდენიმენაირად: რუსთუალ, რუსთაველ, რუსთეველ, რუსთევალ და სხვ.). ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ტუსენი არ არის ყალბისმქნელი, არამედ იგი უშუალოდ დამოკიდებულია რომელიღაც არაბულ ხელნაწერზე.

რომელია ეს არაბული ხელნაწერი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულდებოდა იმით, რომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტუსენს თავის წიგნში წყარო არსად არა აქვს მითითებული.

ამ საკითხით დაინტერესდნენ სათანადო დარგის სპეციალისტები, მარსელში ყოფნის დროს ტუსენი გამოძებნეს და მისი წიგნის თაობაზე ესაუბრნენ. გამოირკვა, რომ მთარგმნელს ქართული სიმღერები გადმოუღია აბულ-ფარაჯის ლექსთა არაბულ კრებულიდან, რომელიც მისი განცხადებით, კაიროს უნივერსიტეტის წიგნსაცავში ინახება.

ამის შემდეგ საჭირო შეიქნა იმის გარკვევა, თუ ვინ არის ეს აბულ-ფარაჯი, ცნობილია თუ არა იგი არაბული ლიტერატურის ისტორიაში? მართლაც, არაბული ლიტერატურის ისტორია რამდენსამე აბულ-ფარაჯს ცნობს. ორი მათგანი რუსთაველამდე ცხოვრობდა, ამიტომ ისინი ჩვენთვის ინტერესს არ წარმოადგენენ. რჩება მესამე აბულ-ფარაჯ ბარ-ჰებრეუსი, სირიელი მწერალი, რომელიც არაბულადაც წერდა. იგი XIII საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და შემდეგში სომხეთში იქნა დანიშნული ეპისკოპოსად. რამდენადაც მას ჩვენი ქვეყნის მეზობლად მოუხდა მოღვაწეობა, არ შეიძლებოდა ქართული ლიტერატურული სამყარო არ სცნობოდა. რა როლი შეასრულა ამ აბულ-ფარაჯმა არაბულ ლექსთა კრებულის შედგენაში? არის იგი ამ ლექსების მთარგმნელი, თუ მხოლოდ მისი შემკრებია? სანამ საკითხი უკეთ შეისწავლება ან ხსენებული კრებული აღმოჩნდება, ჩვენ იმ აზრს გვინდა დავადგეთ, რომ აბულ-ფარაჯი ამ კრებულის მხოლოდ შემდგენი უნდა იყოს.

რას უნდა წარმოადგენდეს აბულ-ფარაჯის მიერ შეკრებილი ქართული სიმღერები? თარგმნილია ისინი ქართულიდან თუ არაბულ ენაზეა შეთხზული? ცხადია, ამ ლექსების არაბულ ენაზე შექმნა სრულიადაც არ არის გამორიცხული, თუ ანგარიშს გავუწევთ არაბული ენის იმ დიდ პოპულარობას, რომელიც რუსთაველის დროს ჰქონდა მას საქართველოში. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც რომ რუსთაველის ეპოქაში ქართული პოეზიისა და მეცნიერების უდიდესმა განვითარებამ შორს გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას. ამიტომ ამ პოეზიის ნიმუშები ადვილად შეიძლებოდა მოხვედრილიყო საქართველოს გარეთ არაბულ ენაზე შედგენილ და გადაწერილ სიმღერების კრებულში.

რა ბედი ეწია აბულ-ფარაჯის არაბულ კრებულს? იყო მისი ძებნის ცდები, მაგრამ, სამწუხაროდ, დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ვფიქრობთ, ხსენებული ხელნაწერი ადრე თუ გვიან უთუოდ აღმოჩნდება, რაც რუსთველოლოგიის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს, ალბათ, ახლებურად გააშუქებს.


CHANTS DE GÉORGIE

CHANTS D'AMOUR ET DE GUERRE DE L'ISLAM

PRINCE ZOUMALI

LA ROSE

Dans tous les jardins, j'ai vainement cherché une rose qui aurait la couleur de tes joues. Maintenant, au soir de ma vie, je sais que je ne la trouverai jamais. Reste assise dans ce rayon de soleil. Je chasserai les abeilles et les papillons qui viendront t'importuner.

— Rassure-toi! Ma main n'effleurera pas tes cheveux. L'ombre de ma main n'effleurera même pas l'ombre de tes cils sur tes joues. Si tu me vois pleurer furtivement, chante la chanson où il est

147

CHANTS D'AMOUR ET DE GUERRE DE L'ISLAM

La Rose

parlé du grand repos que goûtent, enfin, ceux qui se sont tués par amour.

CHAVTALI

L'EMBARRAS

Je lui dirai que je ne peux vivre sans elle et que j'irais la chercher au bout du monde. Elle me dira : « Le bout du monde n'est pas si loin. Il est où je ne suis pas. Par exemple, dans ta demeure. »

— Que lui répondrai-je, alors? Que lui répondrai-je, puisque je ne lui ai pas permis de venir habiter ma demeure lorsqu'elle me l'a proposé, jadis?

ROUSTOUAL

LA PEAU DE LÉOPARD (Extrait)

Je suis faible comme le brin d'herbe qui vient d'être foulé par le pied d'un montagnard. Aie pitié de moi! Je le jure, j'irai, chaque soir te

148

აქვე ვაქვეყნებთ ფ. ტუსენის წიგნში მოთავსებულ სხვა სამი ქართველი პოეტის ლექსთა სიტყვასიტყვით თარგმანს:

### შავთელი — „დაბრკოლება"

„მას ვეტყვი — არ ძალმიძს უმისოდ სიცოცხლე და წავალ ქვეყნის კიდისაკენ მის საძებრად. იგი ჩამჩურჩულებს: „ქვეყნის კიდე არც ისე შორს არის. იგი იქ არის, სადაც არა ვარ მე, მაგალითად, შენს ბინაში".

რას ვუპასუხებ მაშინ? რაღას ვუპასუხებ მას? რადგან მას ნება არ მივეც მოსულიყო ჩემს ბინაში დასასადგურებლად, ოდეს მან ეს წინათ შემომთავაზა?"

### თავადი ზუმელი — „ვარდი"

„ყველა წალკოტში ამაოდ ვეძებდი ვარდს, რომელსაც შენთა ღაწვთა ფერი ექნებოდა. ახლა, ჩემი სიცოცხლის მწუხრზე, ვიცი მას ვერასოდეს ვეღარ ვიპოვი. დარჩი მჯდომარე მზის ამ სხივებში, განვდევნი ფუტკრებსა და პეპლებს, რომლებიც მოვლენ შენს შესაწუხებლად.

დამიჯერე! ხელი ჩემი არ შეეხება ნაწნავთა შენთა. ჩრდილიც კი ჩემი ხელისა არ გაეკარება შენს ღაწვებზე შენთა წამწამთა ჩრდილსაც კი. თუ მიხილავ იდუმალ მტირალს, იგალობე სიმღერა, რომელშიც ნათქვამი იქნება დიადი განსვენება, რასაც დაბოლოს იგემებენ ისინი, ვინც მოკლული არიან მიჯნურობისაგან".

### ანონიმი — „ღამე"

„ვით მათხოვარი გაცუდებული, ვსვამ სიყვარულზე ჩემი მოგონების სადღეგრძელოს. ჩემი ბედნიერების ფერფლით შემიძლია ავაგო სრა-სასახლე? მაინც, მოდი, ჩემო კარგო მიჯნურო! ჩემს წალკოტში მარად მეფობს სიმშვიდე, შენ რომ გიყვარდა. პალმები უმოძრაოდ დგანან. ციცინათელებმა შეწყვიტეს ნათება. ხედავ! აღარ ვტირი მე. ვიღიმები. მაგრამ ეს დიდი მოთქმაა... ეს ნიაღვარია, თუ შენი მწუხარება?"

**მიხეილ მამულაშვილი**

[1] იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949 წ. № 1 (246). აქ მოყვანილია ლექსის არაზუსტი თარგმანი. წერილს კომენტარებიც არ ახლავს.

# ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის

მიხეილ ჯინჭველაშვილი

სკკპ XXI ყრილობამ მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პროგრამა. ეს არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, რომელსაც თავისი გრანდიოზული მასშტაბით ბადალი არ მოეპოვება ისტორიაში. შვიდწლიანი გეგმა ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა გამომდინარეობს უშუალოდ თვით სოციალისტური საზოგადოების ბუნებიდან. ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება სოციალისტური წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე სოციალიზმის ეკონომიურ კანონს წარმოადგენს. სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით ის არის, რომ სოციალიზმის დროს წარმოება ექვემდებარება არა მოგების მიღების მიზნებს, არამედ საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ჩვენში გატარებულია დიდი ღონისძიებანი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, თუ გავითვალისწინებთ პენსიებს და დახმარებას, უფასო სწავლებასა და სამედიცინო მომსახურებას, 1940 წელთან შედარებით 1958 წელს გადიდდა თითქმის 2-ჯერ, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გაიზარდა ორჯერ. ორი საათით შემცირდა სამუშაო დღე უქმე და დასვენების დღის წინა დღეებში. შემოკლებულ სამუშაო დღეზე არიან გადაყვანილი ქვანახშირის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, გაზის, ქიმიური და მთელი რიგი სხვა დარგების მუშები და მოსამსახურეები; გაუქმდა სწავლის ქირა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ხელფასი გაუდიდდათ დაბალხელფასიან მუშა-მოსამსახურეებს, 1958 წელს პენსიების საერთო თანხამ დაახლოებით 64 მილიარდი მანეთი შეადგინა. კიდევ უფრო განვითარდა ბინათმშენებლობა, საქონელმიმოქცევა, ამაღლდა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე და სხვ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა გადამწყვეტ როლს შეასრულებს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სოციალისტური საწარმოო ძალების ახალ მძლავრ აღმავლობაში; გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგმება სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებაში — ისტორიულად მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კაპიტალურ დაბანდებათა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა დაახლოებით გაუთანაბრდება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წინა წლების მაჩვენებელს.

მრეწველობის პროდუქცია გადიდდება დაახლოებით 80 პროცენტით, წარმოების საშუალებათა წარმოება — 85-88 პროცენტით, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება — 62-65 პროცენტით. სოფლის მეურნეობის წინაშე დაყენებულია წარმოების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათით და უზრუნველვყოთ მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება ნედლეულით. ამის შესაბამისად გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის გადიდება 1,7-ჯერ, ამასთან მარცვლეულის წარმოება წელიწადში უნდა ავიდეს 10-11 მილიარდ ფუთამდე.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საბოლოო ანგარიშში, არის ყველაზე მთავარი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება დაახლოებით 45-50 პროცენტით, კოლმეურნეობებში — ერთი-ორად, საბჭოთა მეურნეობებში — 55-60 პროცენტით. ახლანდელ შვიდწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდა უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას. 1965 წელს სამრეწველო პროდუქციის ნამატის სამი მეოთხედი მიიღება შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

შვიდწლედის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 62-65 პროცენტით, სახალხო მოხმარების ფონდი — 60-63 პროცენტით. ამ ნიადაგზე მნიშვნელოვნად იზრდება მშრომელთა შემოსავალი. ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი სწრაფი ტემპები არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

სოციალისტური წარმოების ზრდის გრანდიოზულ მასშტაბებთან დაკავშირებით შვიდწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — დაახლოებით 12 მილიონი კაცით და 1965 წელს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი იქნება 66,5 მილიონი კაცი. შვიდწლედის ბოლოს მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 100 ათასი კაცით გაიზრდება.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავლის ზრდა. ფულადი ხელფასის, პენსიებისა და დახმარების ზრდის, საზოგადოებრივ კვებაში ფასების შემცირების შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შვიდწლედის მანძილზე გაიზრდება 40 პროცენტით. კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე, გაიზრდება სულ ცოტა 40 პროცენტით.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1960 წელს დამთავრდება ყველა მუშა-მოსამსახურის გადაყვანა შვიდ საათიან სამუშაო დღეზე, ხოლო ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის წამყვანი პროფესიების მუშებისა, რომლებიც მიწის ქვეშ მუშაობენ,— 6 საათიანზე. ნავარაუდევია 1964 წლიდან დაწყებულ იქნას ყველა მუშაკის თანდათანობით გადაყვანა 30 საათის და 35 საათის სამუშაო კვირაზე არა მარტო ხელფასის შეუმცირებლად, არამედ მისი მნიშვნელოვანი გადიდებითაც. ჩვენს ქვეყანაში იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა.

სოციალური დაზღვევის თანხების, დახმარების, პენსიების, მოსწავლეთა სტიპენდიების გაცემისათვის, უფასო სწავლებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის, შეღავათების ანაზღაურებისათვის, სკოლა-ინტერნატების ხარჯების გასტუმრებისათვის, საბავშვო ბაღების, ბაგების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების შენახვისა და სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯები 1965 წელს გაიზრდება დაახლოებით 360 მილიარდ მანეთამდე, ნაცვლად 215 მილიარდ მანეთისა, რაც დაიხარჯა 1958 წელს.

საბჭოთა კავშირში სულ უფრო იზრდება ზრუნვა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. დასახულია გრანდიოზული ამოცანა — უახლოეს 10-12 წელიწადში აღმოვფხვრათ ბინების ნაკლებობა და გადავწყვიტოთ საბინაო პრობლემა. მარტო 1959-1965 წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდება 15 მილიონი ბინა, სოფელ ადგილებში დაახლოებით 7 მილიონი საცხოვრებელი სახლი.

შვიდწლედში საქართველოში გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენდეს საცხოვრებელი სახლები 4.150 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობით. დიდი ყურადღება ეთმობა შვიდწლედში კომუნალურ-საბინაო მშენებლობას. ამ მიმართულებით საქართველოში დაბანდებული იყო 2.250 მილიონი მანეთი. 1959-1965 წლების განმავლობაში დაიხარჯება 4.175 მილიონი მანეთი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ყარადაღის ბუნებრივი გაზის მეშვეობით თბილისისა და რუსთავის გაზიფიკაცია.

დიდი ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოფა-ცხოვრების კომუნისტურ გარდაქმნას. საზოგადოებრივ სასადილოებს, საბავშვო ბაგებს, ბაღებს იგი კომუნიზმის ყლორტების ნიმუშებს უწოდებდა. მოითხოვდა წვრილ საოჯახო მეურნეობის მასობრივ გარდაქმნას მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად. ჩვენს ქვეყანაში ახლა უკვე გვაქვს არა ცალკეული ყლორტები, არამედ კომუნისტური ტიპის სხვადასხვა ორგანიზაციის მთელი სისტემა ადამიანების მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მიმდინარე შვიდწლედში კომუნისტურ პარტიას მიზნად აქვს დასახული უზრუნველყოს მოსახლეობა მაღალხარისხოვანი და ფართო ასორტიმენტით კვების პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით. შვიდწლედის ბოლოს მოსახლეობის მოხმარება მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული შაქრით, ბოსტნეულით, რძის ნაწარმით და სხვ. მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გადიდდება 2,2-ჯერ, მცენარეული ცხიმებისა — 1,9 ჯერ, ხილისა და ციტრუსების—2,5-3-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდება მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქონლის მიყიდვა, აგრეთვე, ყოფაცხოვრებისა და ქალთა საოჯახო შრომის შემამსუბუქებელი მანქანებისა და ხელსაწყოების გამოშვება.

ბევრი რამ კეთდება საქართველოს რესპუბლიკაშიც. 1959-1965 წლებში სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი გაიზრდება 780 ერთეულით. 1965 წელს საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 80 პროცენტით გაიზრდება 1958 წელთან შედარებით. ფართო მასშტაბით გაჩაღდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა მშენებლობა პურის გამოსაცხობად, ძეხვის ნაწარმის, ხორცის ნახევარფაბრიკატების, ერბო-კარაქის, ყველის, ხაჭოს, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების და კვების სხვა პროდუქტების გამოსამუშავებლად.

დასახულია ამოცანა შემცირდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროდუქციის ფასები. ეს კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა ოჯახების ბიუჯეტზე და შეამსუბუქებს მილიონობით ქალის შრომას.

ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება, ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი XXI ყრილობაზე, წავა ორი გზით. პირველი გზაა ხელფასის პირდაპირი მომატება და საქონლის ფასების შემდგომი შემცირება; გვაქვს მეორე გზა: ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კომუნისტური გზა — ადამიანთა უზრუნველყოფა კეთილმოწყობილი ბინით, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია, ადამიანთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, სახალხო განათლების სრულყოფა, მოსახლეობის დასვენების ორგანიზაცია და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა და სხვ.

კომუნიზმი, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლური ძალების განვითარების მაღალი დონეა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვეს, რაც აუცილებელია საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების უზრუნველსაყოფად. უამისოდ კომუნიზმი წარმოუდგენელია. ამავე დროს კომუნიზმი გულისხმობს საზოგადოების ყველა წევრის მაღალ შეგნებას. უამისოდ ვერ განხორციელდება კომუნისტური განაწილების პრინციპი — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით". საბჭოთა ხალხი, რომელმაც ააშენა სოციალისტური საზოგადოება ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი ძალღონისა და უნარის გამოყენებით, ეწევა თავგანწირულ შემოქმედებით შრომას კომუნისტური საზოგადოების დიდებული შენობის აგებისათვის.





მექანიკური საამქროს უფროსი, შოთა ბანეთაშვილი (მარჯვნივ) და ქვეოსტატი გაიოზ დემეტრაშვილი.

საიარაღო საამქროს ოსტატი შოთა ბანეთაშვილი მხოლოდ სამი წელია, რაც ქარხანა „ელექტროგამშვებში" მუშაობს, მაგრამ ახალ საწარმოს საკუთარ ოჯახივით შეეგუა. შოთა ბევრს აკვირდებოდა ქარხნის ძირითადი პროდუქციის, ელექტროგამშვების გარსაცმის დამზადების პროცესს. რა უბრალო, მარტივი დეტალია—23 სანტიმეტრი სიგრძის და 15,6 სანტიმეტრი სიგანის კოლოფი, მაგრამ მის გაკეთებას რამდენიმე ოპერაცია სჭირდებოდა: ნამზადის შემოჭრა ტვიფრში, ჩაჭიმვა, ნამატების შემოჭრა, გამომყვანი ხვრელების დაჭდევა, სანახვრეტე ბუდეების ჩაჭდევა და მათი გახვრეტა.

შოთას ყურადღება უკანასკნელმა ორმა ოპერაციამ მიიპყრო. სანახვრეტე ბუდეების ჩაჭდევა ხდებოდა ცალკე დაზგაზე, რის შემდეგ იგი გადაჰქონდათ მეორე ტვიფრზე, სადაც ხდებოდა პირეულის გახვრეტა. დეტალის ერთი წნეხიდან მოხსნას და მეორეზე გადატანას მიჰქონდა დიდი დრო. დრო კი გადამწყვეტია მუშაობაში.

და შოთა თავისთვის რაღაცას ხაზავდა, ანგარიშობდა, შლიდა და ხელახლა ანგარიშობდა. მალე შოთამ თავისი ჩანაფიქრი ქარხნის რაციონალიზატორთა ბიუროს გამგეს დიმიტრი ჯავახიშვილს გააცნო.

დიმიტრიმ ყურადღებით განიხილა წინადადება, აწონ-დაწონა, ყოველნაირად გაზომა და მეორე დღეს ოსტატს გამარჯვება მიულოცა.

ბანეთაშვილის წინადადებით ლითონის გამხვრეტი შვერილები (პუანსონები) დაგრძელდა 15 მილიმეტრით. მათ დამჭერებს კი დაემატა სპეციალური ფორმის პუანსონები, რამაც უზრუნველყო ორივე ოპერაციის ერთდროულად შესრულება — გარსაცმის პირეულის ამოწნეხვა და მისი გახვრეტა.

საგრძნობი შეღავათი მოუტანა ქარხანას რაციონალიზატორ შოთა ბანეთაშვილის ახალმა წინადადებამ. მთლიანად განთავისუფლდა ერთი წნეხი, დაიზოგა დრო.

შვიდწლედის ფონდს 25 ათას მანეთს შემატებს საიარაღო საამქროს ზეინკალ იოსებ გაბიტაშვილის რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ელექტროგამმართველის ღერძის შაიბების (ქვესადებების) დამზადებას.

შაიბების დამზადება მოითხოვდა, აგრეთვე, ორ ოპერაციას, რომლებსაც ორი მუშა და ორი წნეხი უნდებოდა. იოსებმა გააკეთა კომბინირებული ტვიფრი, რამაც შესაძლებელი გახადა გამოჭრა-გახვრეტის პროცესთა შერწყმა. თუ წინათ ერთი დარტყმით მხოლოდ ერთი შაიბა მზადდებოდა, ახლა მზადდება ორი შაიბა.

ზეინკალ გაბიტაშვილის ახალმა ტვიფრმა გაანთავისუფლა ერთი დაზგა და ერთი მუშა-ხელი, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, შექმნა უსაფრთხოების პირობები.

ქარხანაში უყვართ და აფასებენ თავიანთ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რადგან სწორედ ისინი არიან წარმოების პროცესთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ავტორები.

უკვე 10 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია ტექნიკური განყოფილების კონსტრუქტორი გიორგი სულაშვილი. მან შექმნა კონტაქტების დამჭერის ტვიფრი. ამ ტვიფრში ხდება ერთდროულად ორი დეტალის დამზადება უნარჩენოდ. მან გააკეთა მცირენარჩენიანი ტვიფრიც.

მნიშვნელოვანი ეკონომია მოუტანა ქარხანას ნიჭიერი რაციონალიზატორების—უფროს ტექნოლოგ ბიჭიკო ჩიქოვანის, კონსტრუქტორ გივი ნიკოლაიშვილის, ოსტატ შალვა სახიევის და სხვათა წინადადებებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის დამთავრებიდან ორი თვის განმავლობაში „ელექტროგამშვების" რაციონალიზატორთა ბიუროში მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა წამოაყენეს 33 ყურადღების წინადადება, რომელთაგან უკვე დაინერგა 11 წინადადება.

რაციონალიზატორთა რიცხვი კი დღითი დღე იზრდება. მათ რიგებს ავსებენ ახალგაზრდა ნოვატორები, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური კომუნისტური პარტიის იდეები, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ვინც მხარდამხარ მისდევს ჩვენს ნათელ, ბედნიერ ცხოვრებას.

შუშანა ზარქიძე.

იოსებ გაბიტაშვილი.





სპორტული რეკორდები შეჯიბრებებზე მყარდება — ამაში უჩვეულო არაფერია. მაგრამ რეკორდი რეკორდს გააჩნია. ჩვენში მაგალითად, ყველაზე დაბალ კატეგორიად რესპუბლიკური რეკორდი ითვლება, ამიტომ მისი „დაბადება“ არცთუ ისე დიდი მოვლენაა სპორტულ ცხოვრებაში. მაგრამ გამონაკლისიც ხდება ხოლმე. როდესაც 1955 წელს რობერტ შავლაყაძემ „მოხსნა“ რესპუბლიკური რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში, ამ ფაქტს ყველა აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდა; ერთი მეტრი და ოთხმოცდათხუთმეტი სანტიმეტრი თვრამეტი წლის განმავლობაში გადაულახავი სიმაღლე იყო ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისათვის და, ბოლოსდაბოლოს, ეს მოახერხა ოცდაორი წლის მძლეოსანმა. მან ორ მეტრამდე აიყვანა თამასა. ვის ეკუთვნოდა ძველი რეკორდი? ერთ დროს უძლიერეს სპორტსმენს საბჭოთა კავშირში, არმიელ გიორგი ათანელაშვილს, სწორედ მას, ვინც „აღმოაჩინა“ რობერტი და საუკეთესო მომავალი უწინასწარმეტყველა. შემდეგ კი მოხდა ისე, რომ მოსწავლემ „იერიში“ მასწავლებელზე მიიტანა და დაამარცხა კიდეც. გ. ათანელაშვილისათვის ეს იყო სასიამოვნო და საამაყო მარცხი, რომელშიც იგი თავის გამარჯვებასაც ხედავდა.

ფაქტიურად ასე დაიწყო რობერტ შავლაყაძის, ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მხტომელის გამოსვლა დიდ ასპარეზზე.

ადრე? ადრე რობერტი სპორტის თითქმის ყველა სახეობას მისდევდა გარდა... მძლეოსნობისა. განსაკუთრებით კი ფეხბურთს ეტანებოდა. ერთ დღეს სრულიად შემთხვევით იგი სკოლის პირველობაზეც გამოიყვანეს. სწორედ აქ ნახა იგი გ. ათანელაშვილმა და ურჩია მძლეოსნობას გაჰყოლოდა. რობერტს შესანიშნავი მონაცემები ქონდა — მაღალი ფეხები და კოჭები, გრძელი ტერფი, სიმსუბუქე და სიმაღლე. უდავოა, რომ მარტო ბუნებრივი მონაცემები არ წყვეტს საკითხს. რობერტის ყველაზე დასაფასებელი თვისებაა ვარჯიში—სისტემატიური, გეგმიანი, საზრიანი და მონდომებული. ამის შედეგია სწორედ, რომ ახალგაზრდა მძლეოსანმა ხუთჯერ გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი და იგი საერთაშორისო შედეგამდე — 2 მ. და 13 სმ.-დე აიყვანა.

ახლა რობერტი 26 წლისაა. სპორტსმენისათვის ეს ხანა, არცთუ ისე სახარბიელოა, „მისი კარიერა მთავრდებაო“ — ასე იტყვიან ხოლმე ამ ხნის სპორტსმენებზე. მაგრამ რობერტის „მზე“ ახლა ამოდის, იმიტომ კი არა, რომ იგი რაიმე გარდატეხის შეტანას ცდილობს სპორტში. არა, მას აქვს დიდი რწმენა, მონდომება, მას შეუძლია მკაცრი რეჟიმის დაცვა და, ბოლოს და ბოლოს, ოცდაექვსი წელი არცთუ ისე ბევრია. შეიძლება ითქვას, რომ რობერტი სწორედ წელს იქნა აღიარებული, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი. 1959 წელი იყო მისთვის ყველაზე ნაყოფიერი და სასიხარულო.

პირველი დიდი გამარჯვება მოპოვებული იქნა იქ, სადაც ამას რობერტი და მძლეოსნობის სპეციალისტების უმრავლესობა არ მოელოდა. ეს იყო ფილადელფიაში, „გიგანტების მატჩზე“ — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მეორედ შეხვედრისას. რობერტმა დასჯაბნა მსოფლიოში უძლიერესი მხტომელები—დიუმასი, უილიამსი, კაშკაროვი და შედეგით — 205,7 სმ, გამარჯვების კვარცხლბეკზე დადგა.

ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ რობერტი გამოდის ოსლოში. „ნორვეგიამ გამაოცა — გვიამბობს რობერტი.—დიდი, პატარა, კაცი და ქალი ყველას განსაცვიფრებლად უყვარს და ესმის სპორტი. ისინი იცნობენ მსოფლიოს ყველა სპორტსმენს, რომელსაც კი აქვს მოპოვებული რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევა“.

სხვათა შორის, ოსლოში მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი... შეჯიბრების პირველ დღეს რობერტი სიცხიანი გამოვიდა სტადიონზე. ამას თან დაერთო ისიც, რომ რობერტის გამორბენის კუთხე ხვდებოდა იმ ადგილზე, სადაც ქვიშიანი ორმო იყო მოთავსებული. გამორბენის მანძილი, თვითეული ნაბიჯი ხომ საფუძვლიანად აქვს დამუშავებული ყველა მხტომელს. რობერტს გამორბენისას ეკარგებოდა რიტმი, ტემპი. მან თხოვა მსაჯებს, რომ გადაეწიათ სახტომი სექტორი. მსაჯები დასთანხმდნენ, წინაამღდეგი იყო შვედი მძლეოსანი პეტერსონი, რომელიც პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტთაგანი იყო. რა გაეწყობოდა. რობერტი იძულებული იყო გადამხტარიყო მისთვის უჩვეულო პირობებში და იგი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ამ უთანასწორო ორთაბრძოლას დიდი ინტერესით და ექსტაზით ადევნებდნენ თვალს. შეჯიბრის დამთავრების შემდეგ ტრიბუნებიდან ხალხი წამოიშალა და ყვირილითა და სტვენით რაღაცას მოითხოვდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ რადიომ გამოაცხადა: „ხალხის თხოვნით, პირველობა სიმაღლეზე ხტომაში გაგრძელდება ხვალ“. ასეთი ფაქტები იშვიათად ხდება მძლეოსნობაში. „მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღესაც ავად ვიყავი, იმდენად ამაღელვა შვედის არასპორტულმა საქციელმა, რომ მაინც დავთანხმდი და შეჯიბრებაზე გამოვედი.“

მეორე დღეს რობერტმა ორი მეტრი და ექვსი სანტიმეტრი დასძლია და მაყურებელთა ტაშის კრიალში გამარჯვებულმა დასტოვა სახტომი სექტორი.

ოსლოს შემდეგ რობერტი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე გამოვიდა. მისმა „განუყრელმა მეტოქემ“ იგორ კაშკაროვმა და მან თანაბარი სიმაღლე დასძლიეს, მაგრამ იგორმა „იეშმაკა“ — საწყისი სიმაღლე გამოტოვა და ნაკლები ცდა ჩაეთვალა, რაც შემდეგ დაეხმარა ოქროს მედლის მოპოვებაში.

შემდეგ კვლავ გამარჯვება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდთან შეხვედრისას, მეორე ადგილი სსრკ-ინგლისის მატჩზე, შემდეგ კვლავ პირველი ადგილი „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე, ბოლოს ისევ პირველი ადგილი ვარშავაში, ცამეტი ქვეყნის მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრაში.

აი ასეთი უხვი მოსავალი მოიმკო რობერტმა წელს. თუმცა არა... კიდევ ერთი ძვირფასი ჯილდო მიიღო რობერტმა 1959 წელს, ეს არის ოჯახის პირველი სიხარული, პატარა გოგონა როლა, რომელიც მაშინ გაჩნდა ქვეყანაზე, როდესაც მამამისი ოკეანისგაღმა იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას.

ასე იზრდება რობერტი, როგორც სპორტსმენი, ასე იზრდება და მაღლდება თამასა. სადამდე აიწევს იგი? ამის თქმა ძნელია. საერთოდ სპორტის სპეციალისტები გაურბიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში ზღვარის დადებას, ადამიანის შესაძლებლობაზე ლაპარაკი გაძნელდა. ვინ იცის როგორი იქნება სიმაღლეზე მხტომელთა უმაღლესი „ჭერი“, მაგრამ რობერტი ამაზე არ ფიქრობს, მისი სანუკვარი ოცნებაა ორი მეტრი და ოცი სანტიმეტრი! ძნელი ამოცანაა, ვნახოთ, წინ არის კიდევ მრავალი საინტერესო და დაძაბული დღე.

**მურამ გომართელი**





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახატი ა. ბანძელაძისა

# ბრძანებულება

**საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმისა
პოეტ-აკადემიკოს იოსებ
გრიშაშვილისათვის
(იოსებ გრიგოლის-ძე
მამულაშვილისათვის)
საქართველოს სსრ
სახალხო პოეტის საპატიო
წოდების მინიჭების
შესახებ**

დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს (იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილს) მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 3 ოქტომბერი.





.....მე ხალხს ვუმღერდი ავად თუ კარგად—
არა მქონია წარსული ცუდი.
ჩემი ლექსების ქარვას და ქარგას
მუდამ ეხურა ნამუსის ქუდი.
არ მიფიქრია დიად სახელზე,
ყურად მიღია უფროსთა რჩევა;
ბუჩქში იმღერებს თუ მაღალ ხეზე,
ბულბული მაინც ბულბულად რჩება!
ო, მართალია, ცელქს, დაუდეგარს,
დღეს არვინ მიღებს ალერსის ჭიშკრებს,
შუბლს ხნული დაჰკრავს, და ეხლა ვგევარ
დაშაშრულ შრიფტით აწყობილ «ცისკრებს»—
მაგრამ სამშობლოს, მაღალ მთებიანს,
კიდევ სჭირია მგოსნის ნაღარა,
მელანი ჯერ არ გამთეთრებია
და არც რითმებში ვამჩნევ ჭაღარას......



## ხალხის საყვარელი პოეტი

ქართველმა ხალხმა ზეიმით გადაიხადა თავისი სახელოვანი პოეტის, მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატის, ჩვენი კულტურული წარსულის დაკვირვებული მკვლევარის, მაღალნიჭიერი საბავშვო ლექსებისა და თარგმანების ავტორისა და ქართული თეატრის მოღვაწის — იოსებ გრიშაშვილის დაბადების 70 წლისთავი.

ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტი თავის შემოქმედებაში ნახევარ საუკუნეზე მეტია უმღერის ჩვენს საყვარელ სამშობლოს, ხალხთა ძმობას, სიყვარულისა და მშვენიერების მაღალ გრძნობებს.

პოეტმა კარგად შეითვისა და განავითარა ჩვენი დიდი კლასიკოსების ბესიკისა და საიათნოვას, ალ. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ტრადიციები და ახალი ბრწყინვალე ფურცლები შეჰმატა ქართულ სატრფიალო ლირიკას.

მისი პატრიოტული ლექსები გამოხატავენ ულრმეს სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსადმი, ხალხისადმი და ისინი სამოქალაქო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ი. გრიშაშვილის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ჭაღარა დედაქალაქის თბილისის თემას. ი. გრიშაშვილი შთაგონებულად უმღერის მშობლიურ თბილისს, მის დიდ წარსულსა და ბრწყინვალე აწმყოს.

მის ლექსებში შესანიშნავი მხატვრული ასახვა ჰპოვა არა მარტო ძველმა თბილისმა, არამედ ყველაფერმა იმ ახალმაც, რაც სოციალიზმის მშენებელმა ქართველმა ხალხმა შექმნა თბილისში.

ი. გრიშაშვილის ლექსები გამოხატავენ ქართველი ხალხის საუკეთესო მეგობრულ გრძნობებს ჩვენი მოძმე ხალხებისადმი. პოეტი მთელი თავისი შემოქმედების გრძელ გზაზე დაუღალავად ქადაგებს ხალხთა ძმობისა და მშვიდობის ნათელ იდეებს.

ი. გრიშაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში — მისი საბავშვო პოეზია დიდი ხანია იქცა ჩვენი პატარების საზეპიროდ და სასიმღეროდ.

ი. გრიშაშვილი არის თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი უბადლო ოსტატთაგანი, მისი პოეტური შედევრები თავის ფორმითაც შეიძლება ჩაითვალონ ახალი ქართული პოეზიის ნიმუშებად.

ი. გრიშაშვილმა თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითა და უანგარო საზოგადოებრივი ღვაწლით დაიმსახურა მშობელი ხალხის სიყვარული და აღიარება.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას სახალხო პოეტის დიდად საპატიო სახელი მიანიჭა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულშემატკივარნი და იმათი ამბავი

თბილისური ნოველებიდან

**მიხეილ მრევლიშვილი**



უბნის გულშემატკივარნი ერთმანეთს შეხვდნენ და ბაასი გააბეს ბაღში დასხდნენ და იმ უბანზე ჩამოაგდეს სიტყვა. ზოგს თუ იწონებდნენ ზოგსაც იწუნებდნენ. • ერთს ახლად გაჭრილი ქუჩა მოსწონდა. მეორეს შადრევანი ჭადრების ხეივანში.

იმ ორთაგან — ერთი ქალთა სნეულების მკურნალი და დოსტაქარი იყო, მეორე იმ სააყალმყოფოს გამგე, სადაც ის პირველი მკურნალობდა და დოსტაქრობდა.

ბაასი ამყვა და უბნის მოსახლეობას შეეხო. გამგემ შადრევნებთან მოთამაშე ყმაწვილებს შეხედა და გულნატკენმა სთქვა:

— ჩვენ უბანში რაც წინათ დედაკაცობა მშობიარობდა იმის ნახევარიც აღარ მშობიარობსო.

— ჭეშმარიტებასა ბრძანებთ და თუ ასე გაგრძელდა, ამოწყდება უბანი და გაპარტახდებაო. — კვერი დაუკრა გამგეს დოსტაქარმა.

გული აუჩუყდა ამ სიტყვების გაგონებაზე გამგეს, გახედა გარემოსა და ზლუქუნი მორთო. დოსტაქარმა რა ეს დაინახა თავი ვეღარ შეიკავა და ისიც ატირდა.

მართლაც რომ გენახათ, და, ალბათ, გინახავთ კიდევაც, მშვენიერი სანახავი რამ იყო იქაურობა.

ფერდობს შეფენილი და ბაღებში ჩაფლული ახალი სახლები, ლარივით გაჭრილი ქუჩები, ფილაქნით მოპირკეთებული და სარკესავით გაპრიალებული. თლილი ქვისაგან ნაგები, სხვადასხვა სანახაობათა შენობები, ქარხნის ცალ-ცალკე ბინები. ბაღები მიმზიდველი ჩეროებითა და მაგრილობელი შადრევნებით. სახავშვო ბაღები ყვავილნარებითა და თითოოთა ბაგები უსურვაზისაგან გადაფანჩატურებული ერდოებით, — მტრის თვალს არ დაენახვებოდა სწორედ.

დილით, როცა მზე ამოიწვერებოდა მთაზე, ნიავი ააშრიალებდა ფოთლოვანს. ჰაერი აქ ისეთი გამჭვირვალე იყო და სუფთა, იტყოდით ბროლი ჩამოუსხამთო ყალიბში. ყვავილთა სურნელება თავბრუდამხვევი და სყამოდ მათრობელი. მთას მოწყვეტილი ჩანჩქერები, მზეზე ალაპლაპებულ ვერცხლის ზოდებსა ჰგვანდნენ შორიდან.

შუადღისას, როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხრებოდა და ქარხნის საყვირები მუშაობის დასასრულს ამცნობდა ხალხს, ცხელი დღის ზმორება და მყუდროება ჩამოვარდებოდა ირგვლივ. ამ მყუდროებას ჰრიჰინობელას ჰრიჰინი ან პეპელას დადევნებული ბალღის ტიტინი თუ არღვევდა იმ ხანად, სხვა არაფერი.

თუ მოხდებოდა და შორს, ძალიან შორს, კავკასიონის ცადაწვდილი ბუმბერაზებიც აელვარდებოდნენ მზეზე და ნისლგადაყრილი, შუბლგახსნილი მყინვარწვერიც გაუცინებდა ცას — მაშინ ხომ ედემს დაემგვანებოდა იქაურობა ამქვეყნიურსა და ზილულს.

საღამოთი ათასგვარი ლამპიონებით განათებული უბანი ცას ეპაექრებოდა ვარსკვლავთ ციმციმში და ხეთა ჩრდილებში შეპარული შუქი გუბეებივით დგებოდა ბაღში.

ღამით მთვარის შუქი ნარინჯისფრად ღებავდა უბანსა და ვერხვების ჩრდილი უჰაერძალურივით იწელებოდა გზებზე.

ამ სანახაობის მშვენებით დამტკბარმა მეგობრებმა ტირილით რომ გული იჯერეს, გადასწყვიტეს დილით უბნის მესვეურებთან მისულიყვნენ და თავისი ხვაშიადი გაენდოთ.

ამ გადაწყვეტილებით დაშორდნენ ერთმანეთსა და ღამემშვიდობისა უსურვეს.

გამგე რომ ოჯახში მივიდა სტუმარი დახვდა შინ, იმავე უბნის მცხოვრები, შორეული ნათესავის კარის მეზობელი და კარგი ნაცნობი.

გაუხარდა გამგეს სტუმრის ნახვა და ცოლს სუფრის გაშლა უბრძანა.

სტუმარ-მასპინძელი აივანზე დასხდნენ და ვახშამს შეექცნენ. შეამჩნია გამგემ, რომ სტუმარი უგუნებოდ იყო და რაღაც აწუხებდა.

— რა გაწუხებსო? — ჰკითხა მასპინძელმა სტუმარს.

— რაღა რა მაწუხებს, ყილუპები, ოჯახი მენგრევაო! — შესჩივლა მოსულმა.

— რადაო? — გაიკვირვა გამგემ.

სტუმარმა სკამი ახლო მისწია, ხმა დაიბოხა და მასპინძელს თავისი გასაჭირი უამბო.

— მოგეხსენება, ერთადერთი ბიჭი გვყავს მე და ჩემ მეუღლეს, იმაზე ამოგვდის მზე და მთვარე. ის არის ჩვენი იმედიცა და სიხარული. შარშან იმ ბიჭმა ჩვენდა უკითხავად ცოლი მოიყვანა და დაგვისვა შინ. მართალი გითხრა, ცუდს ვერაფერს ვიტყვი რძალზე. კარგი ქალია თვალტანადობითაც და ხასიათითაც. მაგრამ ვერ შეეწყვნენ რძალ-დედამთილი ერთმანეთს. ის რომ გაწმენდავს ჩემი ცოლი ხელახლა გახეხავს. ის რო ილოცება, ეს იწყევლება. ის რო აღმას მიდის, ეს ბაღმას ეწევა და ვართ ერთ გაწამაწიაში ყველანი. ბოლოს მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, გაგვეყარნა ახალგაზრდები და გზამშვიდობისა დაგველოცნა რძლისათვის. დავიყოლიეთ კიდეც ბიჭი. მოსწყინდა იმასაც ამდენი ორომტრიალი და ჩხუბი, მაგრამ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს, რძალი ფეხმძიმე აღმოჩნდა და ეს რომ ჩემმა ბიჭმა გაიგო გული იბრუნა ცოლზე. ჩავარდა ჩემი დედაკაცი საგონებელში. იფიქრა: „შვილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარისათვის მჭიდაა და ამათ რომ შვილი ეყოლოთ ვეღა გაყრითო და თუ ესენი ერთად დარჩნენ ჩვენ აქ აღარ გვეცხოვრებაო!“

დატრიალდა ჯარასავით ის დალოცვილი ჩემი ცოლი. ხან ხვრელში გაძვრა და ხან ნემსის ყუნწში. ბედათ იმ ჩემ რძალს ცოტა მძიმე ორსულობა დაჰყვა. ეს რომ ჩემმა ნახა, შეებრალა ქალი. ვაჟი დროებით ნათესავებში გაგზავნა, რძალი მარტო დაიხელთა და მუცლის მოშლა ურჩია. ბევრი რამ საშიში უამბო გამოუცდელს ორსულობაზე და დაიყოლია კიდეც თავგაბეზრებული გოგო. ახლა ის ჩემი ბიჭი ხვალ დილით დაბრუნდება შინ და თუ ამალამ არა ეშველა რა რძალს, წყალში ჩავვეყრება ამდენი ამაგი.

გამგემ მოუსმინა სტუმარსა და ვითომ ვერ გაუგო, კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა:

— რითი გიშველო და რა ვქნაო?

ამაზე სტუმარმა უპასუხა:

— იმ თქვენ დოსტაქარს აქებენ ძალიან. ისე დღე არ გავა თურმე რომ ამ ჩვენ პატარა უბანში, ორიხამი ქალი არ გაათავისუფლოს ნაყოფისაგან სუფთად და ლამაზად. გვიშუამდგომლე, უბრძანე ნუ დაიზარებს, ამაღამვე გაგვითავისუფლოს რძალი და თქვენი პატივისცემა ჩემზე იყოსო.

არავინ უწყის რამ იმოქმედა გამგეზე, მთვარიანმა ღამემ, რომელიც სიყვარულისა და ალერსისაკენ მოუწოდებდა სულდგმულთ, ვახშმად დალეულმა ღვინომ თუ სტუმრის უკანასკნელმა სიტყვებმა. ეს კია, რომ უცბად გამხიარულდა მასპინძელი. იმ წუთშივე ფეხზე წამოდგა. მხარზე ხელი მოუთათუნა შორეული ნათესავის კარის მეზობელს და ომახიანად შესძახა:

— დასტური მითქვამს! მე წავალ, დოსტაქარს დავუძახებ სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად, შენ წადი, ის შენი რძალი მომგვარე დოსტაქართან, ვიშვიშითა და ხვეწნითაო.

ასეც მოიქცნენ. გამგემ მეგობარს უხმო. სტუმარმა ატირებული რძალი მოიყვანა, დოსტაქარმა ქალი გასინჯა და მამამთილს ყასიდათ უთხრა:

— კიდევაც დაგიგვიანია, შენი რძლის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო.

დაჰყვა ახალგაზრდა ქალი ამ ხალხის რჩევასა და დოსტაქრის დანას მიენდო.

მშვიდი და წყნარი იყო იმ ღამით გარემო. ღამის მყუდროება მაცოცხლებელ რიჟრაჟს ჯერ კიდევ დუმილში აწრთობდა. მთვარე თანდათან ფერმკრთალდებოდა და ჰკარგავდა ნირს. ცის ტატნობში ოქროსფრად ჩაქსოვილ, ოდნავ შესამჩნევ ლილისფერ ზოლს ვერცხლის ზარნიშში ჩამჯდარი მტკვარი, სატრფოს მოშლოდინე ვაჟკაცის კრთომით ... [illegible] ხვდებოდა.

... შუქში ... სიო ნაზად აშრიალებდა ფოთლებსა და ეს შრიალი ახალი სიცოცხლის დაბადების საგალობლად ისმოდა. მოლოდინის ჟრუოლვაში იბადებოდა განთიადი და ყველაფერი ამქვეყნიური ახლად შობილი გარიჟრაჟისა და სიცოცხლისაკენ ილტვოდა.

მხოლოდ დოსტაქარი იდგა ახალგაზრდა დედის წინ დანით ხელში და სასიცოცხლოდ ათრთოლებულ ნაყოფს საშოში ჰკვეთდა.

თითქოს ვერ გაუძლოვო ამ ვერაგობას ბუნებამ და საზარლად შეჰბღავლა. იტყოდით თუ დაინგრაო ზათქისგან ქვეყანა. შუბლშეკრული ცა მეხად დაეცა მძინარე უბანსა და გრგვინვა-ქუხილით მოედო გარემოს. ელვამ გასერა ლრუბლების ქულა და წუთით გაანათა ცოდვილთა ბუნაგი.

ფანჯარასთან მდგომი დოსტაქარი გამძვინვარებულ ბუნებას გაჰყურებდა და თავმომწონედ იღიმებოდა. წვეთი უმანკო სისხლისა შეშხეფებოდა შუბლზე და ზოლებად ჩამოსდიოდა ნაოფლარ სახეზე.

გათენდა. დილის წვიმამ ჩქარა გადაიღო და ცაც მოიწმინდა, მხოლოდ ნაწვიმარის წვეთებიღა ეკიდნენ ჭადრის ფოთლებზე მწუხარე ქალის ცრემლებივით.

გამგე მაგიდასთან იჯდა და დასტად მეკრულ, პეპქისაგან გაქონილ ფულს ხარბად ითვლიდა. დოსტაქარი სადოსტაქრო იარაღს წმენდდა და აკრიალებდა.

გამგემ რომ ფულის თვლა გაათავა ამხანაგს მიუბრუნდა და უთხრა:

— ის რძალ-მამამთილი ჩემი მოყვანილია და იმათი მოტანილიც სანახევროდ უნდა გავიყოთო.

ამაზე გაეცინა დოსტაქარს და ასე უპასუხა.

— გუშინ რომ უბნის გაპარტახებაზე სტიროდი და მესვეურებთან ჩივილს აპირებდი, ვის უჩიოდი და რაზედაო?

— ჩემი ცრემლი გულწრფელი იყო და ხსნას ვეძებდიო. — არ გაიტეხა იხტიბარი გამგემ.

— ხსნა ჩვენშია, უარი ვთქვათ ამ ნაყოფთა ფუყვაზე და მაშინ იმასაც ვნახავ რაღა ფულს გამიყოფო. — ნიშნი მოუგო დოსტაქარმა.

გამგემ მოუსმინა მეგობარს და ესლა ურჩია:

— რა ვქნათ, იმ აგარაკების მშენებლობა დავასრულოთ და უბნის მომრავლებაზე მერე ვიფიქროთო.

# ინდოელი მრეწველი: „ანასეული — ჩაის მსოფლიო ცენტრია“



მოსკოვ-პეკინის თვითმფრინავზე უკვე სხდებოდნენ მგზავრები. მათ წინაშე ბოდიში მოიხადეს და სთხოვეს დაეცადათ, სანამ საჰაერო ლაინერის ქიმზე არცთუ ისე ჩვეულებრივი მოგზაურები არ ავიდოდნენ. სულ რამდენიმე წუთის წინ ისინი სპეციალური რეისით ბათუმიდან ჩამოიყვანეს...

ამასობაში ასასვლელს უახლოვდებოდა მეტად თვალწარმტაცი პროცესია. ვნუკოვოს აეროპორტის სატვირთო სამსახურის მუშაკებს ფრთხილად მოჰქონდათ ჩაის ორმოცი მწვანე ბუჩქი. თეთრ დოლბანდზე შავი საღებავით ეწერა: „ჩინეთი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაის საკვლევო ინსტიტუტი. ძი-ძიანის პროვინცია, ქალაქი ხანჯოუ. გამგზავნი: საქართველოს სსრ, დაბა ჩაქვი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ფილიალი“.

ასევე, შუა ზაფხულში, მხოლოდ შვიდი ათეული წლის წინათ, შანხაიდან ბათუმში ზღვით ჩამოიტანეს ჩაის ბუჩქები. ისინი დეზინფექციისათვის დააწყვეს საბაჟოს ეზოში... გადაასხეს ქლორიანი კირის მაგარი ხსნარი და მთლიანად გაანადგურეს. მეორე წელს ჩამოიტანეს ახალი ნერგები ჩინური მიწის საკმაო მარაგით და მოათავსეს ჩაქვის უზარმაზარ ორანჟერეაში.

ახლა ბუჩქები ჩაქვიდან ჩინეთში მიემგზავრებოდნენ. ეპოქის შესაბამისად ისინი მიფრინავდნენ „ტუ-104-ით“ და, რაც მთავარია, მათ გააჩნდათ წინასწარ მათთვის განკუთვნილი თვისებები — ეს ბუჩქები იყო სელექციური, აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილ ჰიბრიდულ ჯიშთა ათი წარმომადგენელი.

როგორ შეიკრა ასე მთელი წრე? ბუჩქები ჩამოიტანეს ჩინეთიდან და კვლავ გაგზავნეს ჩინეთში! პეკინელი პროფესორის ჯუან ვან-ფანის წიგნში „ჩაის კულტურა“, რომელიც ახლახან ითარგმნა რუსულად, არის ასეთი სტრიქონები: „სსრ კავშირის უდიდესი მიღწევები მეჩაიეობის განვითარების დარგში ჩვენთვის თვალსაჩინო მაგალითია. საბჭოთა კავშირის დღევანდელი დღე ჩვენი ხვალინდელი დღეა. ჩვენ გვინდა მტკიცედ ვიაროთ საბჭოთა მეჩაიეების გზით და ვისწავლოთ მათგან“.

ინდოეთის ჩაის მრეწველთა დელეგაციის მეთაურმა, ანასეულში ჩამოსვლის პირველსავე დღეს, განაცხადა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კარებზე წარწერა აუცილებლად უნდა შეიცვალოსო. და კიდევ მეტი — ანასეულის შესასვლელში, მაღალ ბორცვზე უნდა გაკეთდეს წარწერა—ჩაის მეცნიერების მსოფლიო ცენტრიო.

და ჩვენც სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ვიხმაროთ სიტყვები მსოფლიოში პირველი... მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფი მანქანა... მსოფლიო პრაქტიკაში პირველი ნაკადური ხაზები შავი და მწვანე ბაიხო ჩაის, ესე იგი ფხვიერი ჩაის დასამზადებლად.

და რატომ არ ვთქვათ სიმართლე: ის, რაც კეთდება საქართველოში, — მის ჩაის პლანტაციებში, ჩაის ფაბრიკებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, — ყველაფერი კეთდება აზერბაიჯანისთვისაც, კრასნოდარის მხარისათვისაც, ჩინეთისა და ყველა იმ ადგილისათვის, სადაც მცხუნვარე მზის სხივებქვეშ მწვანედ ბიბინებენ ჩაის ბუჩქები და ამზადებენ შავ, მწვანე, ყვითელ და წითელ ჩაის.

..., იყო დრო, და არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა ჩაის ფაბრიკათა მიერ გეგმების შესრულება ძირითადად დამოკიდებული იყო შრომის მოყვარულობასა და... მზეზე. მზე მთლიანად პასუხისმგებელი იყო ჩაის ფოთლის ჭკნობასა — შავი ბაიხო — ჩაის დამზადების ერთ-ერთი არსებითი პროცესისა. აქ რაღაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ქარსაც. ხოლო წვიმა სულ ცდილობდა ყველაფრის გაფუჭებას: სწორედ მისი ბრალი იყო, რომ ხშირად ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ. ამას ეწოდებოდა ბუნებრივი ჭკნობა.

მაგრამ რადგან უხერხული იყო მზის დატვირთვა, ჩაის ფაბრიკები დიდი სარგებლით გადავიდნენ ხელოვნურ ჭკნობაზე. ახლა ამ სამუშაოს უფრო უკეთ, იაფად და სწრაფად — სულ ორ-სამ საათში — ასრულებენ ინჟინერ-ტექნოლოგ მარდალეიშვილის მრავალიარუსიანი მჭკნობელი აგრეგატები.

ესაა მხოლოდ ერთ-ერთი მანქანა იმ მრავალთაგან, რომელთაც მიიღეს საგზური დიდი და სახელოვანი ცხოვრებისათვის. ხოლო ყველაფრის დასაწყის ადგილად, სადაც იბადება ახალი, უცვლელად ანასეულია.

მოხუც გურულებს ახსოვთ: თავადი ნაკაშიძის დროს და უფრო გვიან, თვით ოცდაათიან წლებამდე, მთელი ადგილი, სადაც ახლა ამართულია სამეცნიერო დაბის კორპუსები, დაფარული იყო ულრანი ტყით.

რაც შეეხება ანასეულის ახლანდელ მცხოვრებლებს, ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ესაა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი. აი თუნდაც ინსტიტუტის დირექტორი დავით ფანცხავა. თვრამეტი წლის მანძილზე იყო ის „გლავჩაის“ უფროსი მოსკოვში. ახლა კი გადმოვიდა ანასეულში, იმ ადგილას, რომელიც თუმცა სადედაქალაქო როდია, მაგრამ უდავოდ ჩაის მეცნიერების ცენტრია.

დავით ფანცხავამ მაჩუქა ერთი იშვიათი ფოტოსურათი, მასზე გამოხატულია შავი ბაიხო ჩაის დასამზადებელი ნაკადური ხაზი. ინსტიტუტის საცდელ ფაბრიკაში შეიძლება ამ ხაზის ნახვა მუშაობის დროს. აქ აწარმოებენ მის გამოცდას.

ყველაფერი საინტერესოა და ყველაფერი არაჩვეულებრივია. ტრანსპორტიორს ოთხიარუსიან საცავში აქვს ფოთოლი და შემდეგ გადასცემს მარდალეიშვილის მჭკნობელი აგრეგატის ბუნკერს. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ღერო გადალუნვისას აღარ ტყდება, თვითონ ფოთოლი ხდება დრეკადი, ელასტიკური, სიმწვანე ფერმკრთალდება, იწყებს მოჭარბებას ყვითელი ფერი. ახლა შეიძლება შევუდგეთ გრეხას. ტრანსპორტიორს დაუყოვნებლივ აქვს ფოთოლი პირველ სართულზე — განუწყვეტელი მოქმედების როლერთა მზიან დარბაზში. მათ უწოდებენ შარკოვსკის როლერებს (ესაა ამ როლერების გამ-





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონებელი, ანასეულის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი). შემდეგ იწყება ფერმენტთა გამაღვიძებელი მექანიზმები. პლანტაციიდან ახლად მოტანილ ნედლ ფოთოლში სულ მცირეა ფერმენტები; სამი მეოთხედი წყალია, თექვსმეტი-თვრამეტი პროცენტი ტანინი, ხოლო დანარჩენები „ძმურად“ იყოფენ — ნერვული სისტემის გამაღიზიანებელ კოფეინს — სურნელების წყაროს ეთეროვან ზეთს და ფერისა და ნაყენის შემქმნელ ფერმენტებს.

ვინც ჩაის ფაბრიკებში ყოფილა, მან იცის: საფერმენტაციო საამქრო ნაკლებად საინტერესო ადგილია. ჰაერის ტენიანობა იქ 95–98 პროცენტს აღწევს. ეს რომ მინდორში იყოს, გარშემო სქელი ნისლით იქნებოდა ყველაფერი დაბურული. მომცრო, სწორკუთხოვან ყუთებში დევს დაგრეხილი ფოთოლი და თითქოს ისვენებს. 4-5 საათის შემდეგ ოთახი ივსება ახალი ვაშლის მწვავე სუნით, და ფოთოლი სპილენძისფრად წითელი ხდება. ფერმენტებმა დაამთავრეს თავიანთი შრომა.

საფერმენტაციო საამქროს ზღურბლს იქით თითქმის მზამზარეულ ჩაის ელის საშინელი სიცხე, გამთანგავი გახურებული ჰაერი. ტემპერატურის ამ მკვეთრ ცვლაზეა აგებული ყველაფერი. სიცხე წყვეტს ფერმენტთა შემდგომ, უკვე არასაჭირო მუშაობას, სპობს საფუარს და მავნე მიკროორგანიზმებს.

ნაკადურ ხაზზე, მუშათა სასიხარულოდ, აღარაა არც საფერმენტაციო საამქრო და არც საშრობები, სადაც ზაფხულობით შესვლაც კი არ მოესურვება ადამიანს. აქ დგას მექანიზებული საფერმენტაციო კამერა ტენმზომით, რომელიც მკაცრად იცავს დადგენილ რეჟიმს. იქვეა, აგრეთვე, მექანიზებული საშრობი ღუმელი. როგორც კი დამთავრდება ტექნოლოგიური პროცესი, ხაზი თვითონვე ამოირთვება. მთელ ხაზს მომსახურებას უწევს მარტოოდენ სამი კაცი — ტექნიკოსი, მექანიკოსი და ელექტრიკოსი.

ამ საცდელი, ნაწილობრივ თვით მეცნიერმუშაკთა ხელით დამზადებული ხაზის მუშაობისათვის თვალყურის დევნება მეტად სასიამოვნოა. რა კარგი რამ არის იგი! ჩაის დამზადების ყველა საჯახირო და ზუსტი სამუშაო ხდება ნაკადით, ერთი კონვეიერით. ესაა ჩვენი შვიდწლედის შესაფერისი უდიდესი ნახტომი წინ.

ანასეულის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კედლებში დაიბადა მეორე, ყველაზე უპირველესი მსოფლიოში, მექანიზებული ნაკადური ხაზი მწვანე ჩაის დასამზადებლად. მისი ნახვა შეიძლება უკვე მუშაობისას ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში.

აქ ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

მწვანე ჩაის ფაბრიკებში, სადაც ცდილობენ, აარიდონ დამჟავებას მთელი ტანინი, ყველაზე მძიმე და შრომატევადი სამუშაო იყო დუყების გაორთქლვა და მათი შრობა სპეციალურ, უზარმაზარ ღუმელებში. კონსტრუქტორებმა აშიანმა და ლომინაძემ — მაშინ ორივენი ანასეულში მუშაობდნენ — წარმოებას შესთავაზეს მანქანა, რომელიც ორ წუთში შეძლებდა ყველაფრის შესრულებას, რაც ასე ძნელი იყო აგრეგატებისათვის, საშრობი ღუმელებისა და მათ გარშემო მოფუსფუსე ადამიანებისათვის. ამ მანქანას უწოდეს ფიქსაციური, რადგან იგი ამაგრებს და ფიქსაციას უშვება როგორც ტექნოლოგები ამბობენ, ადამიანისათვის გამოსადეგ მწვანე ჩაის ღირსებებს.

„საქჩაის“ ტრესტში ეკონომიურ კონფერენციაზე თქვეს, მუშაობის პირველსავე წელს თვითეული ფიქსაციური მანქანა დაზოგავს სულ ცოტა ორ მილიონ მანეთსო. და კიდევ რაც უფრო არსებითია: თუ მწვანე ჩაის გამომმუშავებელი თორმეტი ფაბრიკა ფიქსაციური მანქანებით შეცვლის აპარატებსა და საშრობ ღუმელებს, მაშინ კაპიტალური მშენებლობისათვის ყოველგვარი ხარჯების გარეშე ისინი შეძლებენ დამატებით გადაამუშაონ ოთხნახევარი, ხუთი მილიონი კილოგრამი ფოთოლი. ესაა ორი საშუალო ფაბრიკის სიმძლავრე!

ამგვარად, ფიქსაციურმა მანქანამ განუწყვეტელი მოქმედების როლერთან ერთად შექმნა პირველი მექანიზებული ნაკადური ხაზის საფუძველი. და რადგან კარგ საქმეს ზღვარი არ დაედება, ამიტომ ნაკადური ხაზის შემქმნელები ზრუნავენ, რათა ის იყოს არა მარტოოდენ მექანიზებული, არამედ იმართებოდეს ავტომატებითაც, და ტექნოლოგიურ რეჟიმს აკონტროლებდნენ ავტომატები. ამ საქმეში ანასეულის ინსტიტუტს დასჭირდა გორელ კოლეგათა დახმარება. ავტომატიკის გორის საკვლევო ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საქმეს და საკმაოდ მალე იპოვეს საჭირო გადაწყვეტილება. ლანჩხუთის ნაკადური ხაზის ავტომატიზაციისათვის გაღებული ხარჯები დაიფარება მუშაობის პირველსავე სეზონში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩაის ფაბრიკათა ბატონ-პატრონი — „საქჩაის“ ტრესტი და საქართველოს საბჭოთა მეურნეობის სამმართველო იზრუნებენ, რათა ნაკადური ხაზები მუშაობდნენ არა მარტო ლანჩხუთსა და ანასეულის საცდელ ფაბრიკაში! ესაა დროის მოთხოვნა, დიად სამუშაოთა შვიდწლედის მოთხოვნა.

**ილია მუხაძე.**

# ჩვენი ფოსტი-დან


ეროვნული ბიბლიოთეკა

პკინ ლინა და გალინა
ტვანბა უშვებენ საველე გაზეთს.
ფოტო ნ. ჯომიდავასი.

## „შვიდწლედის თანამგზავრი“

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გასული წლის თებერვალში შექმნეს კოლმეურნეობა, რომელსაც „შვიდწლედის თანამგზავრი“ შეარქვეს. თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ტარკილი, მოადგილედ — იური ქვაცბა. ორ ბრიგადასა და ექვს რგოლში გაერთიანდა 106 ახალგაზრდა კოლმეურნე. „დურიფშის“ კოლმეურნეობიდან მათ გადაეცათ ათი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, გამწევი ძალა, ფარდულები, ინვენტარი.

ახალგაზრდების კოლმეურნეობამ წელს იკისრა 35 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა ნაცვლად გეგმით ნავარაუდევ 25 ტონისა. ახალგაზრდებმა 28 ივლისისათვის გაანაღდეს ვალდებულება და პირველ სექტემბრამდე შეასრულეს გეგმა.

წინ მიდის მეორე ბრიგადა (ბრიგადირი ვალერი აბგაჯავა), რომელმაც 15 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მისცა 18 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 15 ტონისა. კარგად მუშაობენ რგოლები, რომელსაც ხელმძღვანელობენ ანატოლი განგია, რუსლან კონჯარია და ლავრენტი შულუმბა.

პირველი შვიდწლედის პირველი წლის პირველ ნახევარში მოპოვებულ შრომითი შედეგებისათვის დურიფშელმა ახალგაზრდა კოლმეურნეებმა მარტო პრემია-დანამატის სახით მიიღეს 12.000 მანეთი. მოწინავე ჩაის მკრეფავმა ლინა ჰკინმა მიიღო 2.800 მანეთი.

ახალგაზრდა კოლმეურნეები ეჯიბრებიან გალის რაიონის აჩიგვარის საშუალო სკოლის მოსწავლე კოლმეურნეებს.

მიმდინარე წლის თებერვალში აჩიგვარელები ეწვივნენ დურიფშელებს.



ბაბანეურის, ქვემო ალვანისა და ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებნი კარგად იცნობენ დიმიტრი გაუვარაშვილის შესანიშნავ ვაზის ხეივანს. ასიოდე მეტრზე გადაჭიმულია მძიმე მტევნებით დახუნძული იშვიათი სილამაზის თალარი. მრავალი წლის განმავლობაში სათუთად მოვლილ ხეივანში დიმიტრი გაუვარაშვილს ოციოდე ჯიშის ვაზისთვის მოუყრია თავი.

# საქართველოს უძველესი სკოლა

თელავის პირველი საშუალო სკოლა მოთავსებულია ერეკლე II-ის ყოფილი სასახლის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, იგი ერთ-ერთი პირველი სასწავლო-სააღმზრდელო კერაა საქართველოში.

1758 წლის 26 ოქტომბერს აქ გაიხსნა დაწყებითი სკოლის ტიპის „ფილოსოფიური“ სკოლა, რომელიც მოთავსებული იყო იმავე ოთახებში, სადაც ახლა არის ჰრა-კერვის კლასები, მასწავლებლის სახლის ბიბლიოთეკა და სადურგლო სახელოსნო. დღევანდელი სასკოლო· შენობის ერთი ნაწილი დამატებით მიშენებულია 1885 წელს.

თელავის სამეფო კარის სკოლა 1782 წლის 28 მაისს გადაკეთდა სასულიერო სემინარიად.

თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად საქართველოში დახურეს სასწავლებლები, მათ შორის თელავის სასულიერო სემინარიაც, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1801 წელს.

ამ შენობაში 1818 წელს გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც სრულ ერთ საუკუნეს იარსება. 1917 წლის დასასრულს სასულიერო სასწავლებელი უქმდება და მის ადგილს იკავებს ვაჟთა გიმნაზია.

თელავის პირველ საშუალო სკოლას 200 წლის განმავლობაში დირექტორებად და მასწავლებლებად ჰყავდა საკმაოდ დიდი პლეადა თვალსაჩინო მოღვაწეებისა.

ამ ხნის მანძილზე ამ სკოლაში სწავლა-განათლება მიიღეს ისტორიკოსმა დავით ბატონიშვილმა, ირ. ევდოშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, ნიკ. რაზიკაშვილმა (ბაჩანა), სანდრო ახმეტელმა, ნიკ. შიუკაშვილმა, ანდრია ბენაშვილმა, ნიკ. სულხანიშვილმა და სხვ. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან დღესაც ბევრია გამოჩენილი მეცნიერი და მოწინავე ადამიანი, რომელთა შორის აღსანიშნავია აკადემიკოსები — ივ. ბერიტაშვილი, ნ. ხომეზურაშვილი, მ. რჩეულიშვილი; პროფესორები — ა. ჩახტაური, შ. შიშნიაშვილი, გ. გოზალიშვილი, ვ. ტალახაძე, გ. და ა. ათანელიშვილები, დოცენტები — თ. ბეგიაშვილი, ი. ნატროშვილი, ი. აბაშიძე, ნ. მელითაური, ლ. ციხისთავი, ელ. იმერლიშვილი, ს. ლომკაცი; სოციალისტური შრომის გმირები — ვლ. ოსოშვილი, ივ. ფეიქრიშვილი, ი. ბოლქვაძე, ლ. არსენაშვილი და სხვ.

თელავის ვაჟთა გიმნაზია 1921 წელს გადაკეთდა შრომის სკოლად, შემდეგ კი პირველ საშუალო სკოლად. იგი გადაიქცა დიდ და კეთილმოწყობილ სკოლად, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე დაგროვილი აქვს მდიდარი გამოცდილება. მის ბაზაზე შეიქმნა და განვითარდა კახეთის ბევრი პედაგოგიური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

სკოლამ უფრო მეტ განვითარებას მიაღწია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მისი მატერიალური ბაზის ზრდისა და კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა ასეულ ათასობით მანეთი.

სკოლას აქვს ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, კარგადაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტ - ლაბორატორიები. პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის სკოლასთან შექმნილია მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტები, საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები.

სკოლის ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარია ლიტერატურით, მისი წიგნების ფონდი 6 ათასზე მეტ ეგზემპლარს შეადგენს.

სკოლის შენობაში წელიწადში სამჯერ ტარდება რაიონული პედაგოგიური კაბინეტის მიერ მოწვეული სექციური მუშაობა ცალკეული საგნის მიხედვით. სექციებზე მომხსენებელთა უმეტესობა ამ სკოლის მასწავლებლებია.

ამა წლის 24 ივნისს სკოლამ იდღესასწაულა თავისი არსებობის 200 წლისთავი.

**მიხეილ ცაკაშვილი,**
**თელავის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

„წინ — სიყვარულია“, ასე ქვია თბილისის კინოსტუდიის ახალ ფილმს, რომლის გმირის — მზიას როლს ლეილა აბაშიძე ასრულებს. ამას წინათ სურათის გადამღებმა კინოჯგუფმა მოინახულა დიდი ვაჟას სამშობლო — ჩარგალი. სურათზე — ვაჟა ფშაველას შვილიშვილი ეთერი რაზიკაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეილა აბაშიძე.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

## უმოკლესი მოთხრობები

პოლონურ ჟურნალ „პშეკრუიში“ არის მუდმივი განყოფილება, სადაც ათავსებენ რამდენიმე სტრიქონიან სახუმარო და პაროდიულ მოთხრობებს. ვბეჭდავთ ზოგიერთ მათგანს.

### სასკოლო

ანეჩკა ჩაიჭრა გამოცდაზე, რადგან მისი დუმილი კომისიამ ოქროდ არ სცნო.

### დეტექტიური

ბოროტმოქმედმა მოიხედა, თავისი თავი დაინახა სარკეში და გაქვავდა. გადაცმული პოლიციელი თვითონ აღმოჩნდა.

### ჯაშუშური

აგენტმა „X-13“-მა ამოიღო საკუთარი თვალი, რომელშიც შიფრი უნდა ყოფილიყო, ჩაიხედა შიგ, მაგრამ ვერაფერი დაინახა, შეცდომით ნამდვილი ალი თვალი ამოეღო.

### საპლანეტთაშორისო

რაკეტა ისეთი წარმოუდგენელი სისწრაფით გაფრინდა, რომ კასიოპეის ვარსკვლავზე დაჯდომისას იგი იქ არ ჩანდა, მოტორების გუგუნი ჯერ კიდევ დედამიწაზე ისმოდა და მგზავრები ჯერ კიდევ აეროდრომზე იდგნენ.

### სამხარეთმცოდნეო

იყო მშვენიერი ტყე. იყო ექსკურსია. იყო კოცონი. აღარ იყო ტყე.

# ჭადრაკი

ა. თაყაიშვილი

**კოოპერაციული შამათი ორ სვლაში**



თეთრები: მფ b2, ე e5, კ a4, კ f6, მხ c7, პ-ი : e6 (6).
შავები: მფ d6, ლ e8, ე c8, კ b5, კ h8, პ-ი : a5, a6, b7 (8).
შავები იწყებენ და ეხმარებიან თეთრებს შავი მეფის დაშამათებაში.

1\. კ b5—d7 e : d
2\. ე c8 : c7 d : e × (მხედრით)

# ფეხბურთის რეკორდსმენები

რეკორდებს ამყარებენ მძლეოსნობაში და ძალოსნობაში, ცურვასა და სროლაში, მაგრამ შეიძლება თუ არა რეკორდის დამყარება ფეხბურთში? „რა თქმა უნდა არა“! იტყვის მკითხველი, მაგრამ ნუ აჩქარდებით.

ამა წლის 5 აპრილი ბედნიერი დღე იყო ინგლისის ნაციონალური გუნდის განთქმული კაპიტნის ბილი რაიტის ცხოვრებაში. „ვულვერჰემპტონ უონდერერსის“ ცენტრალურმა მცველმა მესედ ჩაიცვა ინგლისის ნაკრების ფორმა და ითამაშა შოტლანდიელთა წინააღმდეგ.

ამ მხრივ ყველაზე ახლოს რაიტთან დგას უნგრელი ბოჟიკი, რომელმაც 89-ჯერ დაიცვა ნაკრების სახელი. ინგლისელი ფინეი (81) და ავსტრიელი მანაპი (78). დაეწევიან თუ არა ისინი რაიტს? საეჭვოა. ბილი ჯერ არ აპირებს მინდვრის მიტოვებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 19 წელია, რაც თამაშობს. რაიტს იმიტომ კი არ უწოდებენ „რკინისებურს“, რომ იგი დაიბადა აირონბრიჯში (აირონ, ინგლისურად, რკინას ნიშნავს) მას აქვს შესანიშნავი საბრძოლო მონაცემები, შეუცდომლად ირჩევს ადგილს, მოქნილია და საკმაოდ მაღლა ხტება (სიმაღლე 172 სმ).

სტენლი მეტიუზს ახლახან შეუსრულდა 44 წელი, თუმცა მას შეცდომით თვლიან ხანგრძლივი სტაჟის რეკორდსმენად; უელსელმა ბილ მერედიტმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო თამაში და 49 (!) წლისამ უკანასკნელი მატჩი 1924 წელს ჩაატარა. ფინეი კი „ერთგულების“ რეკორდსმენია. 21 სეზონის მანძილზე იგი გამოდის ერთ და იგივე კლუბში — „პრესტონ ნორდ ენდში“, ეს იშვიათი შემთხვევაა პროფესიულ ფეხბურთში, სადაც მოთამაშეთა ხშირი ყიდვა-გაყიდვაა გამეფებული.

ინგლისელებმა კიდევ ერთი რეკორდსმენი მისცეს ფეხბურთის ისტორიას. ეს არის დიქსი დინი. 30 წლის წინათ იგი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი თავდამსხმელი. ერთი ჩემპიონატის 38 მატჩში მან გაიტანა 60 (!) ბურთი. თუ რამდენად ღირსშესანიშნავია ეს მიღწევა გვიჩვენებს უკანასკნელი წლების საუკეთესო სნაიპერთა შედეგები — იშვიათად თუ ვინმემ შეძლო სეზონში 40 ბურთზე მეტის გატანა. 1957-58 წლებში ყველაზე მეტი, 38 გოლი, გაიტანა სმიტმა (პირველი ლიგა), 45 — ჯონსონმა (მეორე ლიგა).

ფეხბურთში ფენომენალური რეკორდის მფლობელი გახლავთ იტალიელი ალფრედო ფონი. ომამდე, ქვეყნის პირველობაზე, მან ზედიზედ ითამაშა 229 მატჩი. ეს იმას ნიშნავს, რომ 7 წლის მანძილზე არც ერთი თამაში არ გამოუტოვებია, არასდროს არ ყოფილა ცუდ ფორმაში, არასდროს გამხდარა ავად, არც ერთხელ არ მიუღია ტრავმა, და არც ერთხელ არ ყოფილა დისკვალიფიცირებული!

როგორც ხედავთ, ფეხბურთშიც ამყარებენ რეკორდებს, მაგრამ მათ რეგისტრაციას მკაცრი მსაჯები კი არ ახდენენ, არამედ ყოვლისმცოდნე, ყოვლის მნახველი მოყვარულები, წარსული და დღევანდელი შეხვედრების ბრწყინვალე ისტორიკოსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბაქტერიები ატომურ რეაქტორში

ამას წინათ ამერიკული პრესა აღნიშნავდა, რომ წყალში, რომელიც აცივებს ლოს-ალამოსის ატომური რეაქტორის მოწყობილობას, ნაპოვნია ცოცხალი, გამრავლებისუნარიანი ბაქტერიები. სპეციალისტები თვლიან, რომ ეს მიკროორგანიზმები საკმაო დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ რეაქტორის იმ ნაწილში, სადაც გამოსხივების ინტენსივობა 2000-ჯერ აღემატება ადამიანისათვის სასიკვდილო დოზას. აღმოჩენილი ბაქტერიები განსაკუთრებით ამტანები არიან გამოსხივებისა. როგორც ამტკიცებენ, ისინი გვანან ადამიანისათვის სავსებით უვნებელ ნიადაგის ბაქტერიებს. ისმება კითხვა: თუ კი ბაქტერიები ასე კარგად იტანენ რადიოაქტიურ გამოსხივებას, ხომ არ შეიძლება მათი გამოყენება რადიაციისაგან ადამიანთა დასაცავად?

### რეზინიანი ასფალტი

დიდი ტემპერატურული ცვლილებანი, მაღალი ტენიანობა და წვიმები აფუჭებენ და ანგრევენ ჩვეულებრივ გზებს. თუ ბითუმს დავუმატებთ 2,5% რეზინის შემადგენლობის ფხვნილს, გზა წყალგაუვალი და ელასტური გახდება, იგი აღარ დასკდება. ავტომობილის საბურავები კარგად მოეჭიდება რეზინაშერეულ ასფალტს. ავსტრალიელი ინჟინრის დასკვნით ასეთი გზა 15%-ით ძვირი ჯდება, მაგრამ იგი 50%-ით უფრო დიდხანს ძლებს.



უტექსტო ხუმრობა რ. გაბრიაძისა

გარეკანის პირველ გვერდზე: ხულხან-ხაბა

ნახატი უჩა ჯაფარიძისა

მეოთხე გვერდზე: ფოტო ეტიუდი მიხ. ტრახმანიჩა

რედაქტორი გრ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ჟურნალი გააფორმა ზ. ლეჟავამ. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-59 წ. გამოც. № 184. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.150. შეკ. № 1285, უდ 01690

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. ვროცლავში. ჩანახატი ზ. ლეჟავასი



ეროვნული
ბიბლიოთეკა